ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 8 დეკემბერი, 2023 №242 (9278) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გახარია: „არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გასცა 20 ივნისს ბრძანება, პასუხისმგებელი ვიყავი მე“

გვ.3

ნიკა მელიამ ნაციონალური მოძრაობა დატოვა

„მივდივარ? დიახ, მივდივარ წინ, მომავლისკენ და წარსულს ვტოვებ წარსულში“

გვ.2

„მაქვს არჩევანი, ჩავერთო პოლიტიკურ ვაჭრობაში, ან დავრჩე ხალხთან და ერთად შევცვალოთ ეს თამაშის წესები“

„ივანიშვილს პრეზიდენტების შერჩევა ეშლება“

დავით ბერძენიშვილი: „სალომე ზურაბიშვილის საქმიანობა ხელისუფლებისთვის შემაშფოთებელია, ქვეყნისთვის კარგი და ოპოზიციისთვის სასარგებლოა!“

გვ.2

„თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება, „ოცნება“ არჩევნებს ვერ გააყალბებს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „გვეყო, 30 წელი ერთი და იგივე წრეზე რომ ვიტრიალეთ“

მღელვარება სტატუსის გაფორმების წინ

„საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას უნგრეთის ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მყარი მხარდაჭერა აქვს“

გვ.4

ალეკო ელისაშვილი: „პროექტი მონა.ჯი ისედაც საძაგლობად მიმაჩნდა, კალანდიას მანდ შეყვანა გულისამრევია“

გვ.3

ამბები აფხაზეთის ომიდან

გვ.5

„გასრესილ, უზარმაზარ ტარაკანასავით ზურგზე ამობრუნებულს ვტოვებთ ტრაქტორს“

„მალე მრავალი სამშობიარო სახლი დაიხურება“

გვ.4

კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

გვ.5

4 კახეთში 16 ცალი ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა გაასალეს

6 ბლინკენი: პუტინის დაუსჯელობა სახიფათო ხდება!

4 გასულ წელს 30.975 საწარმო გაუქმდა

6 რუსეთის პრეზიდენტის გეგმები ჩაიშალა

1993230720223

ნიკა მელიამ ნაციონალური მოძრაობა დატოვა

„მივდივარ? დიახ, მივდივარ წინ, მომავლისკენ და წარსულს ვტოვებ წარსულში“

– მივდივარ? დიახ, მივდივარ წინ, მომავლისკენ და წარსულს ვტოვებ წარსულში, – ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური.მოძრაობის ყოფილმა თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

– ბოლო 11 წლის განმავლობაში არ შემინყვეტია ბრძოლა ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ვინაიდან ვთვლიდი და ვთვლი, რომ ეს ხელისუფლება ქვეყანას უკარგავს განვითარების პერსპექტივას და ართმევს მომავალს, მომავალს, რომელიც ქვეყანას უნდა ჰქონდეს გაცილებით უკეთესი, ვიდრე აქვს აწმყო.

ყველაფერ ამისთვის ვიბრძოდი პარლამენტის ტრიბუნიდან, ქუჩიდან, საერთაშორისო პლატფორმებიდან, ციხის საკნიდან. ვცდილობდი ვყოფილიყავი ყველგან, სადაც ილახებოდა ხალხის თავისუფლება და ამ პროცესში არ მქონია სხვა არანაირი პოლიტიკური მიზანი, გარდა ხალხისა და ქვეყნის ინტერესი.

და დღეს, ყველას ერთად, ქვეყანაში გვაქვს პოლიტიკური კლიმატი, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია არაფორმალურ მართვასა და კულუარულ გავლენებზე. დაფუძნებულია თავიდან ბოლომდე ფულზე. გვაქვს გახრწნილი პოლიტიკური სისტემა, რომელიც გასაქანს არ აძლევს პატიოსნებას, გასაქანს არ აძლევს წესიერ, გამოცდილ ადამიანებს, ახალგაზრდებს, ზნეობრივ, მორალურ, გულწრფელ პოლიტიკას და გასაქანს არ აძლევს პრაქტიკულად არცერთ იდეალისტ ადამიანს ამ სფეროში.

დღეს, საქართველოში გვაქვს სისტემა, რომელმაც ძალიან ბევრი ადამიანი გახადა სკეპტიკოსი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ პრინციპები, რომლებიც არის ჩემთვის მნიშვნელოვანი, ყოფილიყო გამარჯვებული „ნაციონალურ მოძრაობაში“. ამ გახრწნილ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც არის ქვეყანაში, პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ ამორალობა აქციონ პოლიტიკურ სტანდარტად, წარმატების მიღწევის წინაპირობად. ამ სტანდარტის გამზიარებელი პოლიტიკოსები ერთმანეთს არწმუნებენ, რომ პრინციპების დათმობით უფრო მეტს მიაღწევენ, ვიდრე პრინციპების ერთგულებით და მერე ყველა ასეთი პოლიტიკოსი ერთად ცდილობს, ამაში დაარწმუნოს ხალხი.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის საფუძველი დღეს საქართველოში არის ფული. პოლიტიკური კორუფცია, პოლიტიკური ვაჭრობა და მოსყიდვა და დასანანია, თანაც როგორი დასანანია, რომ პოლიტიკური კლასის არცთუ ისე მცირე ნაწილმა მისი თამაშის წესები მიიღო, როგორც საკუთარი თამაშის წესი. და ასეთი პოლიტიკოსები ამ ყველაფრით პრაქტიკულად ამაყობენ კიდეც და ცდილობენ, ყველა ერთად, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ამ მანკიერ პოლიტიკურ სტანდარტს აქვს გასაქანი ამ ქვეყანაში, ის არის ვარგისიანი...

დღეს ბევრი თქვენგანი ფიქრობს, ქალაქში, სოფელში, ქუჩაში, მაღაზიაში, კი არ ვარგა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ვერ მოერევი, ცუდია, მაგრამ ფული აქვს ბევრი და ვერ მოერევი.

მე მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება შესაძლებელია... მაგრამ მე არ მჯერა, რომ ფულის დამარცხება შესაძლებელია ფულით, პოლიტიკური კორუფციის დამარცხება შესაძლებელია პოლიტიკური კორუფციით, უღირსობის უღირსობით, არ მჯერა, რომ პოლიტიკური ვაჭრობა მარცხდება პოლიტიკური ვაჭრობით... მე მჯერა, რომ სისტემური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ გვჭირდება სუფთა წარსული, რეპუტაცია, ცოდნა, პატიოსნება, გამბედაობა – აი, ეს არის გამარჯვების ახალი გზა და არა პოლიტიკურ ვაჭრობებში ჩართვა, ეს არის ჩემი პოლიტიკური იდეალები, ეს არის ჩემი, როგორც პოლიტიკოსის ხედვა.

ვიცი, რა ხდება თქვენს გულებში, ჩემს გულშიც იგივე ტრიალებს, თქვენ რომ დაკარგეთ ნდობა პოლიტიკური კლასის, მეც ასევე დავკარგე პოლიტიკური კლასის დიდი ნაწილის ნდობა, ახლა მაქვს ორი არჩევანი, ან მოვირგო ეს ნიღაბი და ნიღბით ვიყო, ან ვიყო ბოლომდე გულწრფელი, საკუთარ თავთან პირველ რიგში და თქვენთან მართალი. მაქვს არჩევანი, ჩავერთო პოლიტიკურ ვაჭრობაში, ან დავრჩე ხალხთან და ერთად შევცვალოთ ეს თამაშის წესები.

დარწმუნებული ვარ, სიმართლეს ყოველთვის იმაზე მეტი მხარდამჭერი ეყოლება, ვიდრე ვინმემ შეიძლება ხალხი იყიდოს, მართალი ხალხი არ იყიდება, ჩვენ კი პოლიტიკაში მათთვის სიმრცე უნდა გავაჩინოთ.

ყველა ადამიანი, ვინც ამ ბრძოლაში იქნება, მიიღებს ინდივიდუალურ, სინდისით ნაკარნახებ გადაწყვეტილებას და ვიქნებით ძალიან ბევრნი სწორი ადამიანების ღირებულებით ერთობაში და ვივლით წინ მომავლისკენ და დავამარცხებთ ივანიშვილის ოლიგარქიულ მმართველობას.

მაშასადამე, მივდივარ? დიახ, მივდივარ წინ, მომავლისკენ და წარსულს ვტოვებ წარსულში.

ამ ქვეყანაში ოლიგარქიას სურს დაწეროს საქართველოს ისტორია, მაგრამ საქართველოს ისტორიას დაწერს ქართველი ხალხი, – განაცხადა ნიკა მელიამ.

შეგახსენებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ყოფილ და ამჟამინდელ მენეჯმენტს შორის დაპირისპირება უკვე რამდენიმე თვეა, გრძელდება.

27 ნოემბერს კი ლევან ხაბეიშვილმა ნიკა მელია პარტიიდან პირდაპირ ეთერში გარიცხა. გამოაცხადა, რომ „ნიკა მელია არ არის პარტიის წევრი“ და ჟურნალისტის ხელწერით დაწერილ შეკითხვას წერილობით უპასუხა. ამ ფაქტის შემდეგ ეს ნიკა მელიას პირველი განცხადებაა. მისი თანამოაზრეები კი ნაციონალურ მოძრაობას ყოველდღიურად ტოვებენ, ლევან ხაბეიშვილს კი თანამდებობის დატოვებისკენ მოუწოდებენ.

„ივანიშვილს პრეზიდენტების შერჩევა ეშლება“

დავით ბერძენიშვილი: „სალომე ზურაბიშვილის საქმიანობა ხელისუფლებისთვის შემაშფოთებელია, ქვეყნისთვის კარგი და ოპოზიციისთვის სასარგებლოა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს, რაზეც უკვე დიდი ხანია საუბრობდით. „ქართული ოცნება“ ალაპარაკდა ამაზე ღიად. რა შანსები აქვს ოპოზიციას? როგორც ფიქრობთ, დავუჯეროთ ირაკლი კობახიძეს? მართლაც გადადგება პრეზიდენტი არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე და ჩაუდგება ოპოზიციას სათავეში, თუ ეს უბრალოდ მათი შიშებია?

– კი, შიშს დიდი თვალები აქვს, ეს შიშია. საერთოდ, კობახიძის პოლიტიკური ჭორიკნობა, ახალი არ არის. არც მის სიტყვას აქვს ფასი. არ გადავდგებიო, გამოგვიცხადა 20 ივნისს და ჩამოსული არ იყო, რომ გადააყენეს. არიქა, 100/50-ზე იქნება პროპორციულს და მაჟორიტარულს შორის თანაფარდობა და ძვრა არ იქნება ამისიო და მერე მოუხდათ უკან დახევა. პროპორციული შემოვიტანეთო და მერე უკან წაიღეს. შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერეს, პირველი მოსმენით მიიღეს 2%-იანი ბარიერი, მერე დახიეს ის დოკუმენტი და უკან წაიღეს თავის სიტყვები. არ ვიცი, რამდენი რამ გავიხსენო?! სულ ბოლოს, აგერ შარშან ნათქვამი, დეკემბერში თუ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, მაშინ ჩვენ დაბალ ბარიერს მივუბრუნდებითო. ახლა ამბობენ, ეგ შარშანდელ დეკემბერს ეხებოდა და ამ დეკემბერს არ ეხებაო. ასე რომ, კვალიფიკაციის ნაკლებობა არის, პოლიტიკური დონე არის „პლინტუს“ დაბლა და ბუნებრივია, მაქსიმალურად ცდილობს ხელისუფლება, ერთი ირაკლი, მეორე ირაკლი, კიდევ აღმოაჩნდათ მომცრო ირაკლები, რომ ხელისუფლების უტიფარი სახე წარმოაჩინონ. ასეთ ვითარებაში რას იტყვის კობახიძე, ეს განსახილველი არც კია. მხოლოდ შემიძლია დავცინო და იძულებული ვარ, ვილაპარაკო ასე.

როდესაც წინა ორ არჩევნებში, გაყალბებული შედეგებითაც კი, „ოცნებამ“ 45%-ზე მეტი ვერ დაიწერა, ახლა გვიცხადებენ, რომ 65%-ს აიღებენ და საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნებათ. ზოგადად, ასე არ ხდება. ეს არის უპატივცემულობა, არა მარტო მისი მოწინააღმდეგეების, მისი მომხრეებისაც კი.

– პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიმართ ძალიან გააქტიურდნენ. რატომ?

– თან ამბობენ, პრეზიდენტად არ მოვიხსენიებთო და დღე და ღამე სალომე ზურაბიშვილზე ლაპარაკობენ. თავის დროზე, სალომე ზურაბიშვილს სახე წაართვეს, პირდაპირი მნიშვნელობით. ახლა ძალიან ნანობენ სალომეს პრეზიდენტად არჩევას. ეს ბიძინა ივანიშვილის საკადრო შეცდომა გამოდგა. საერთოდ, პრეზიდენტების შერჩევაში, მას ეშლება ხოლმე. თუმცა, ისინი ამ შეცდომას არ აღიარებენ. მე რამდენჯერმე გავიხსენე, მარგველაშვილზე თქვა, ჩემი შეცდომა კი არაა, თვითონ კურიოზიაო. ახლა, ალბათ, სალომე ზურაბიშვილია კურიოზი ნომერი ორი. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის როლსა და ადგილს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

პრეზიდენტი არის სამი უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირიდან ერთადერთი, რომელიც ძალიან ადეკვატურია ევროინტეგრაციის გზაზე. ბოლო წელიწადია, ის კარგად მუშაობს. მე არ ვიყავი მისი მხარდამჭერი, მისი ოპონენტის მხარდამჭერი ვიყავი. ახლა შეიცვალა სურათი. არსებითი მნიშვნელობა იმას კი არ აქვს, რომ გამოვეკიდოთ საკუთარ სტერეოტიპებს, როდის მოგვწონდა და როდის არ მოგვწონდა. ვინ როდის იქცევა კარგად და როდის ცუდად – აი, ამის შეფასება მოგვეთხოვება ადამიანებს. ახლა სალომე ზურაბიშვილი რაკი კარგად იქცევა, ქვეყნისთვის სასარგებლოდ, ამიტომ პოზიტიურად ვაფასებ მის ამ ევროპულ საქმიანობას.

– პრეზიდენტს აქვს რესურსი ამ შუაშისტური პატარ-პატარა პარტიების გაერთიანების?

– რა ფორმით და როგორ იქნება სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს მე არ ვიცი. ამაზე მარჩიელობა არ არის ჩვენი საქმე. შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილი, სწორედ პრეზიდენტის რანგში, ძალიან სასარგებლო იყოს ამ ერთი წლის განმავლობაში, ამ საარჩევნო პროცესში და ევროინტეგრაციის გზაზე. რა თქმა უნდა, ის იქნება მხარდამჭერი და გულშემატკივარი ოპოზიციის. ამ ოპოზიციიდან მაინცდამაინც ხუთი ნომრის ხმალამოღებული მხარდამჭერი რომ არ იქნება, ესეც ვიცით. მე ვამბობ, რომ სხვადასხვა შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ.

თუ სალომე ზურაბიშვილი დააპირებს ბოლომდე იყოს პრეზიდენტი და გაისად ამ დროს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საარჩევნო შედეგების მიხედვით გადაწყვიტოს, კვლავ იყაროს კენჭი პრეზიდენტად ასარჩევად.

– ფიქრობთ, რომ მეორე ვადითაც იყრის კენჭს?

– თუ ამას დააპირებს, მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ პატარა პარტიებს, ჯგუფურად თუ ერთ დიდ გაერთიანებად, შეეძლებათ მხარი დაუჭირონ სწორედ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურას. შესაძლოა, ეს იყოს წინასწარ გაცხადებული, რომ სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მათი კანდიდატი იქნება! ან შესაძლოა სულ სხვა ფორმა იქნას შერჩეული. ახლა მე ვერ ვისაუბრებ იმაზე და არც ვფიქრობ ამაზე, ისედაც შეუძლებელია ეს ვინმემ იცოდეს, სალომე ზურაბიშვილის გარდა, ამ ერთი წლის განმავლობაში პოლიტიკური აქტიურობის რა ფორმას მოძებნის პრეზიდენტი. ერთი რამ ცხადია, მისი საქმიანობა ხელისუფლებისთვის შემაშფოთებელია, ქვეყნისთვის კარგია, და ოპოზიციისთვის სასარგებლო!

– ბატონო დავით, საუბრისას ნომერი ხუთი ახსენეთ, რა სჭირს ნომერ ხუთს? საკმაოდ ცუდად გამოიყურება ეს პარტია. რამდენად დააზიანებს ეს პროცესები ნაცმოძრაობას წინასაარჩევნოდ?

– ნაციონალური მოძრაობა, რა თქმა უნდა, ნახევარ მილიონ ხმას ველარ აიღებს, მაგრამ ნომერი ხუთის ანი და ჰოე არის მიხეილ სააკაშვილი და 300 თუ 350 ათასი ხმა მიხეილ სააკაშვილს შერჩება. რა თქმა უნდა, ეს პარტია ძველ შედეგს ვერ გაიმეორებს, რადგან პარტიის თავმჯდომარე წავიდა და უახლოეს ხანებში ველით, რომ ახალ პარტიას შექმნის, ნიკა მელიას ვგულისხმობ. ასევე, პარტიიდან წასულები არიან და პარლამენტში ძალიან აქტიურობენ ბოლო ორი მოწვევის პარლამენტის ფრაქციის თავმჯდომარეები, რომან გოცირიძე და ხატია დეკანოიძე.

– რას იტყვით გიორგი გახარიაზე? ბოლო დღეებია, ისიც საკმაოდ გააქტიურდა. როგორც ჩანს, მასაც ბევრი აქვს სათქმელი. რა როლი ექნება მას ამ ყველაფერში?

– გახარიას პარტიას 8% აქვს აღებული 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ის ოპოზიციური პარტიებიდან, ნაციონალური მოძრაობის გარდა, ერთადერთია, რომელსაც მაღალი შანსი აქვს, 5%-იანი ბარიერის დაძლევის. როგორც ჩანს, ის ცალკე გავა არჩევნებზე.

ყველა ბაქიბუქობს, კი მაქვს ეხლა 1%, მაგრამ იმდენად გავიზრდები, რომ მექნება 5%-ზე მეტი. ერთი მხრივ, ეს ღიმილის მომგვრელია, მეორე მხრივ, ძალიან სახიფათო ამბავია. ოპოზიციისთვის მიცემული ხმები, როცა ის ვერ გადალახავს ბარიერს, გადაიქცევა სახელისუფლო მანდატებად. ეს ოპოზიციის არაკვალიფიციურობაზე მეტყველებს, თუ ისეთივე შეცდომას დაუშვებენ პატარ-პატარა პარტიები, როგორც აქამდე უშვებდნენ. საკმარისია, 5-7% ოპოზიციური ხმებისა განიავდეს, რომ ხელისუფლებაში დარჩება „ქართული ოცნება“! თუ ასეთი რამ დაუშვა ოპოზიციამ, მაშინ სწორედ ოპოზიცია იქნება მთავარი პარტნიორი ამ ხელისუფლების! ჯერჯერობით, ოპოზიციის ნამოღვაწარი, ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია ამჟამად მაინც ჭკუას მოუხმობს!

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მურაბ ლეკურაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

კახეთში 16 ცალი ყალბი 100-დოლარიანი კუპიურა გაასაღეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ყალბი ვალუტის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, კახეთის რეგიონში, გაასაღა 16 ცალი ყალბი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა, რომელიც შემდგომ ამოღებულ იქნა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

– აქტიურად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები, ბრალდებულთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების დადგენა – მხილების მიზნით, – ამბობს უწყება.

30 წლის წინათ დარგული კაკლის გამო, მეზობლები ერთმანეთს უჩივიან

ახალციხეში, ბარათაშვილის ქუჩაზე მცხოვრები მეზობლების დავას უზენაესი სასამართლო განიხილავს.

საქმე ეხება კაკლის ხეს, რომლის მოჭრას ავთანდილ ნასყიდაშვილი ბეგიაშვილებს, ორ წელზე მეტია, სთხოვს.



– ჩემი ავტოფარეხის ჩრდილოეთ მხარეს, 80 სმ-ის დაშორებით ბეგიშვილებს აქვთ კაკლის ხე. ავტოფარეხის აშენებიდან გავიდა 16 წელი, ხე გაიზარდა და ფარავს ჩემი ავტოფარეხის სახურავის მესამედს და მომავალში, ალბათ, მთლიანად დაფარავს, რაც საშიშროებას შეუქმნის ჩემს შენობა-ნაგებობას. ვინაიდან შენობის სახურავი გაკეთებული მაქვს ლითონით, დაცემული ფოთლები იწვევს დაჟანგვას, შემოდგომაზე ნაყოფი ცვივა სახურავზე, რომლის ხმა საგრძნობლად შემოდის ოთახებში. არის საშიშროება, რომ კაკლის ხის ფესვებმა დაანგიანოს შენობის საძირკველი, – ამბობს ავთანდილ ნასყიდაშვილი.

ბეგიშვილების ოჯახის თქმით, კაკლის ხე, რომელზეც დავა მიმდინარეობს, 1990-იან წლებშია დარგული, ხოლო ავთანდილ ნასყიდაშვილმა შენობა 2004 წელს, მშენებლობის ნებართვის გარეშე, დარგულ ხესთან კანონით დადგენილ დაშორებაზე ახლოს ააშენა. ამასთანავე, შენობა რამდენიმე მეტრით ბეგიშვილების საკუთრებაშია აშენებული.

– ავთანდილ ნასყიდაშვილმა თავად დაარღვია ის, რაზეც ამჟამად დავობს. ნასყიდაშვილს მშენებლობა რომ ეწარმოებინა მშენებლობის ნორმების დაცვითა და მშენებლობის ნებართვით, მაშინ შენობა-ნაგებობა ვერ შემოიჭრებოდა ჩვენს საკუთრებაში. ასევე, მას მოუწევდა 5 მეტრის დისტანციის დაცვა, რითაც აღარ იარსებებდა დავის საფუძველი. ჩვენი მხრიდან კონფლიქტის გაღრმავებას მოვერიდეთ და უკანონო მშენებლობა არ გავუსაჩივრეთ, – აცხადებენ ბეგიშვილების ოჯახში.

„სამხრეთის კარიბჭე“

მკვლელობა ლილოში

ლილოში მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვის დროს ასამდე ადამიანი, ჯერ ადვოკატებს, შემდეგ კი მანდატურის სამსახურს დაუპირისპირდა. ისინი მკვლელობის ბრალებით დაკავებულებისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯას ითხოვენ.

ოჯახს ეჭვი აქვს, რომ ბიზნესმენი ლილოში შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლია, განსასჯელის სკამზე კი ქილერი ზის, რომელიც დამკვეთს არ ასახელებს. ამიტომ მან ციხეში მთელი ცხოვრება უნდა გაატაროს. ჩხუბი იყო სასამართლოს შენობაშიც და ეზოშიც.

საქმის მასალების თანახმად, საზღვარგარეთ მყოფმა ბრალდებულმა, რომელიც ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების სახელით ლილო მოლის ბაზრობაზე მოვაჭრეებს თანხას სძალავდა, ერთ-ერთი მოვაჭრის მხრიდან უარის მიღების გამო, მისი მკვლელობა შეუკვეთა. ბრალდებულმა საქართველოში მყოფი მეგობრის დახმარებით, მკვლელობის ჩადენისთვის წინასწარ შერჩეულ პირს ცეცხლსასროლი იარაღი და თანხა გადასცა.

სამართალდამცველებმა მკვლელობის ჩამდენი პირი იმავე დღეს, 3 აგვისტოს დააკავეს. მკვლელობის შემკვეთი პირის მეგობარი კი, რომელმაც მკვლელს ცეცხლსასროლი იარაღი მიუტანა, პოლიციამ 7 ნოემბერს დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, მკვლელობის შემკვეთი მიმალვაში იმყოფება, ამიტომ მას ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა.

„თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება, „ოცნება“ არჩევნებს ვერ გააყალბებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „გვეყო, 30 წელი ერთი და იგივე წრეზე რომ ვიტრიალეთ“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ახლახან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებებით, საარჩევნო სიაში სხვა პარტიის წევრები ვეღარ შევლენ. ასევე არ არის დაშვებული საარჩევნო ბლოკები. შეიძლება ეს იყო წვრილი პარტიების გამსხვილების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი?

– „ქართული ოცნება“ ძალიან არის შეშინებული 2024 წლის არჩევნების შედეგებით. ამიტომ, ცდილობს, ყველა და ყველაფერი შეზღუდოს, რაც კი არჩევნებს უკავშირდება. თუმცა, „ლიბერალისტული პარტია“, მოგეხსენებათ, ფსევდო ბლოკებისა და ფსევდო გაერთიანებების წინააღმდეგი იყო ყოველთვის. სრულიად გაუგებარია სხვადასხვა იდეოლოგიისა და ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები როგორ უნდა გაერთიანდნენ და რა უნდა ჰქონდეთ მათ საერთო. ასეთი ფსოვდო გაერთიანებები რომ მოდიოდნენ ხელისუფლებაში მთელი 30 წლის განმავლობაში, იმიტომ წავედით „შორს“. გვეყო, 30 წელი ერთი და იგივე წრეზე რომ ვიტრიალეთ. ადამიანებს მრავალფეროვანი არჩევანი უნდა ჰქონდეთ. ამიტომ ამ ცვლილებებში მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ერთადერთი რასაც ვხედავ, არის ის, რომ ივანიშვილის რეჟიმი ძალიან არის შეშინებული.

ეს ცვლილებები კიდევ ერთი, მორიგი, ასე ვიტყოდი, სიურპრიზია საპარლამენტო ოპოზიციისთვის, რომელიც ივანიშვილის საფლავში ჩაყოლას აპირებს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– ოპოზიციამ სამართლიანი საარჩევნო სისტემის მოპოვებისთვის ბრძოლა ახლავე უნდა დავიწყოს. მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

– საარჩევნო ბარიერის ცვლილების მოთხოვნით გამოსვლას გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა! ამას ერთი და ორი პარტია ვერ შეძლებს. მთელი ოპოზიციური სპექტრის ბრძოლაა, რასაკვირველია, ხალხთან ერთად. ივანიშვილი ქუჩაში დიდი რაოდენობით ადამიანს რომ დაინახავს, მერე შეიძლება ბარიერის დაწევაზე დაფიქრდეს, მანამდე მას 5-პროცენტიანი ბარიერი აწყობს და ნაციონალურ მოძრაობასაც. ბარიერის დაწევის გარეშე საარჩევნო არითმეტიკაში „ქართულ ოცნებასთან“ შეყოლა, მხოლოდ ივანიშვილის თამაშში შეყოლაა. არავინ უნდა მოტყუვდეს, დღეს საარჩევნო ბაიერიერის დაწევა, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ამ ქვეყნას, მის მომავალს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში შავ-თეთრი იქნება არჩევანი?

– არა, მხოლოდ შავი და შავი იქნება არჩევანი. ეს უნდა გააცნობიეროს ყველამ. თუ გვინდა მრავალფეროვანი პარლამენტი, მრავალფეროვანი პოლიტიკა, მაშინ წვრილ-წვრილი პარტიები უნდა შევიდნენ პარლამენტში. ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ პარლამენტი და საერთოდ, პოლიტიკა, რაც იყო, 11 წელია ვუყურებთ. ეს უნდა დავასრულოთ. ამისთვის, პირველ რიგში, საარჩევნო ბარიერი უნდა დაიწიოს. ბიძინა ივანიშვილი არაფრის დათმობას აპირებს თავისი ნებით. მას მუდმივად უნდა ძალუფლების შენარჩუნება, მაგრამ არ მგონია, ეს იყოს ქართველი ხალხის სურვილი. ამიტომ ბრძოლა უნდა დავიწყოთ სამართლიანი საარჩევნო გარემოსთვის.

ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ საარჩევნო ბარიერი დაიწიოს, მაგრამ ამისთვის საზოგადოების, პოლიტიკური სპექტრის ერთობაა საჭირო. საერთოდ, დაბალი საარჩევნო ბარიერი ერთგვარი პრევენციაა ახალი რეჟიმის ჩამოყალიბების წინააღმდეგ.

– დაბალი საარჩევნო ბარიერი შეიძლება კოალიციური მთავრობის შექმნის წინაპირობა იყოს?

– რა თქმა უნდა. ფსოვდო ბლოკებითა და მონსტრი პარტიებით ქვეყნის მართვა რაც იყო, ვნახეთ. ამან არ გაამართლა. ეს სისტემა უნდა შევცვალოთ. ამიტომ არის, რომ ნაციონალურ მოძრობასაც არ აწყობს დაბალი საარჩევნო ბარიერი. არსებული და წინა რეჟიმების შედარებითი ანალიზი უნდა დავასრულოთ. არცერთი და არც მეორე ხელისუფლება ჩვენს ქვეყანას არ გამოადგა. დაბალანსებული, კოალიციური მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს, რომლის ამოცანაც იქნება ამ ქვეყნის, ამ საზოგადოების სამსახური და არა ერთი ადმიანის, ბელადების მსახურება. ამომრჩეველს არჩევანი არ უნდა ჰქონდეს ცუდსა და უარესს შორის. ეს არჩევანი მრავალფეროვანი უნდა იყოს. ნაციონალებსა და „ოცნებას“ ერთმანეთი აწყობთ, მაგრამ ხალხს ჰკითხონ ერთი, რამდენად აწყობთ მათ ნაციონალები და „ოცნება“?! ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ამომრჩევლის აქტივობაზე. თუ ამომრჩეველი აქტიური იქნება, „ოცნება“ არჩევნებს ვერ გააყალბებს.

– ელოდებით ამომრჩევლის მაღალ აქტივობას, თუ ფიქრობთ, ქვეყანაში პოლიტიკურ პროცესს ჯერ ამ ზღვრამდე არ მიუღწევია?

– ეს ზღვარი იყო 2012 წლის არჩევნებზე. მაშინ მაღალი იყო ამომრჩევლის აქტივობა. ადამიანები თუ შიშით არ ამბობდნენ, გულში მაინც ფიქრობდნენ, რომ არსებული ხელისუფლება უნდა შეეცვალათ. ვფიქრობ, დღესაც დადგა ეს ზღვარი. ბოლოს-დაბოლოს, „ქართული ოცნების“ მმართველობის 12 წლის თავზე, ამომრჩეველი დაფიქრდება და გონივრულ არჩევანს გააკეთებს. ეს კი ნამდვილად იქნება ივანიშვილის რეჟიმის დასასრული და ახალი, კოალიციური მმართველობის დასაწყისი.

გახარია: „არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გასცა 20 ივნისს ბრძანება, პასუხისმგებელი ვიყავი მე“

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია თეონა გეგელიასთან ინტერვიუში 20 ივნისზე დარჩენილ შეკითხვებზე საუბრობს და ამბობს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში 20 ივნისის მოვლენები შეფასებულია როგორც ძალადობრივი შტურმი პარლამენტის შენობაზე.

– სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში 20 ივნისის მოვლენებზე წერია, რომ ეს იყო ძალადობრივი შტურმი პარლამენტის შენობაზე, ის, რასაც ჩვენ ვამბობდით, ეს იყო 2-3 თვის წინ და არცერთ მედიასაშუალებას არ გაუშუქებია, – აცხადებს გახარია.

ყოფილი პრემიერი ასევე საუბრობს 20 ივნისს დარბევის ბრძანების გამცემზე და ამბობს, რომ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ გასცა დარბევის ბრძანება, რადგან ღონისძიებაზე პასუხისმგებელი თავად იყო.

– ვინ გასცა ეს ბრძანება 20 ივნისზე, ამას ყველა მეკითხება, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იმ ღონისძიების პასუხისმგებელი ვიყავი მე, – ამბობს გახარია.

მისი თქმით, აუცილებლად გაჩნდება ოდესმე კითხვა, თუ ვის იცავს „ოცნება“ 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით.

შეიძლება ოდესღაც გაჩნდეს კითხვა და გაჩნდება, ვის იცავს „ოცნება“ პოლიტიკურად, როდესაც არავისთვის საჭირო ამნისტია გამოაცხადა 20 ივნისთან დაკავშირებით, ან იცავს ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც იყო სულისჩამდგმელი და იდეოლოგი ამ შტურმის, ან ვის? ეს კითხვები ჰაერშია ჩამოკიდებული და პასუხებს მოითხოვს, ამას დასჭირდება დრო, – აცხადებს ყოფილი პრემიერი.

გახარია ასევე გავრილოვის ქვეყანაში და პარლამენტში შეშვებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ გავრილოვი რომ ქვეყანაში არ შემოეშვათ, ღონისძება მთლიანად ჩაიშლებოდა.

– 20 ივნისს გავრილოვთან ერთად დელეგაციაში კიდევ 12 წევრი იყო და არ შემოვუშვით, არც ამას არ ვუშვებდით, ჩვენი რეკომენდაცია იყო, რომ ეს ვაუბატონი ქვეყანაში შემოსაშვები არ იყო, თუმცა, ამას მოჰყვა მთელი პოლიტიკური დებატები, მაგრამ იყო საკითხი, ეს კაცი თუ არ შემოვუშვით, ეს ღონისძიება მთლად ჩაიშლებოდა, – ამბობს გახარია.

ალეკო ელისაშვილი: „პროექტი მონა.ჯი ისედაც საძაგლობად მიმაჩნდა, კალანდიას მანდ შეყვანა გულისამრევია“

პლატფორმა მონა.ჯი-ზე განთავსებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, „ისტორიკოსი გიორგი კალანდია მუზეუმებში თეა წულუკიანის რეპრესიულ პოლიტიკას ნერგავს“, პარტია „მოქალაქეების“ დეპუტატი, ალეკო ელისაშვილი სოციალურ ქსელში ეხმიანება.

როგორც ელისაშვილი აღნიშნავს, გიორგი კალანდიას სიაში შეყვანა „გულისამრევია“.

– პროექტი მონა.ჯი ისედაც საძაგლობად მიმაჩნდა და გიორგი კალანდიას მანდ შეყვანა არის კიდევ უფრო გულისამრევი.

გიორგი კალანდიას ვიცნობ 25 წელია და ცოტა ვინმე თუ ვიცი მასავით შეპყრობილი. საქართველოთი და მუზეუმებით შეპყრობილი. რადიო „აუდიენციაში“ ვმუშაობდით ერთად და ზუგდიდის დადიანების სასახლიდან კომუნისტების დროს, 30-იან წლებში დაკარგული ნივთი აღმოაჩინა რომელიღაც ევროპულ აუქციონზე.

ჯამლეთ ბაბილაშვილი იყო მაშინ გენერალური პროკურორი, იმდენი იჩალიჩა, ეს ნივთი პროკურატურის მეშვეობით, დაუბრუნა ზუგდიდის მუზეუმს. ასეთი ათობით ამბავი შემიძლია მოვყვე კალანდია-მანიაკზე. ჰოდა, სხვისი ლანძღვის გარდა, ცხოვრებაში არაფერი რომ არ გაგიკეთებიათ, იმათ კალანდიას გაკეთებულის მეათასედი მაინც გაუკეთეთ საქართველოს და მერე აქვეყნეთ სხვები თქვენს ამაზრზენ საიტებზე, – წერს ალეკო ელისაშვილი სოციალურ ქსელში.

ცნობისათვის, „გირჩი – მეტი თავისუფლებამ“ და „დროამ“ შექმნეს ვებპლატფორმა მონა.ჯი, რომლის მიზანი, მათი თქმით, ონლაინ რეჟიმში „ქართული ოცნების“ რუსეთთან კავშირების, საარჩევნო დარღვევებისა და კორუფციული გარიგებების მხილებაა.

რაც შეეხება გიორგი კალანდიას შესახებ საიტზე განთავსებულ ინფორმაციას, მასში წერია:

– გიორგი კალანდია მუზეუმებში თეა წულუკიანის რეპრესიულ პოლიტიკას ნერგავს. კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული და გადამოწმებული ინფორმაციით, კალანდია პირადად იბარებს მუზეუმების თანამშრომლებს, აფრთხილებს პოლიტიკურ აქტიურობასთან დაკავშირებით და მეტიც, საბჭოთა კავშირის საუკეთესო ტრადიციებით, ყველა თანამშრომელთან პირად საუბარს თუ თათბირს იწერს. მასთან დაპირისპირებას შეეწირა დადიანების მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელი.

მღელვარება სტატუსის გაფორმების წინ



„საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას უნგრეთის ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მყარი მხარდაჭერა აქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მინიჭებას რომ ევროკავშირის ყველა ქვეყნის მხარდაჭერა აქვს და ამის თაობაზე არსებობს ევროკომისიის დადებითი დასკვნა, უდავოა. თუმცა, ამ საკითხზე გაურკვევლობა მაინც შეიქმნა. უკრაინა და მოლდოვა ევროინტეგრაციის გზაზე სხვა საფეხურზე იმყოფებიან. ამის მიუხედავად, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ერთ პაკეტში განიხილავენ. უკრაინის გამო გამოთქმულმა პროტესტმა გააჩინა კითხვები საქართველოსა და მოლდოვას მიმართაც.

უნგრეთმა (პრემიერმა ვიქტორ ორბანმა) ევროკავშირს უკრაინასთან დაკავშირებული ულტიმატუმები წამოუყენა და 14-15 დეკემბრის ევროპული საბჭოს სამიტზე უკრაინის საკითხის ამოღება მოსთხოვა. უნგრეთის მმართველმა პარტიამ ასევე უნგრეთის პარლამენტში შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც მთავრობას მოუწოდებს, არ დაუჭიროს მხარი უკრაინის შემდგომ ინტეგრაციას ევროკავშირში, ანუ მოლაპარაკებების დაწყებას გაწევრიანების თაობაზე.

• • •

„ოცნების“ ლიდერების განცხადება

უნგრეთში ჩასული „ქართული ოცნების“ ლიდერები იმედს გამოთქვამენ, რომ დეკემბერში ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება.

– საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას უნგრეთის ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მყარი მხარდაჭერა აქვს. 14-15 დეკემბერს კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე პოზიცია არის უცვლელი, – განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

მან გამოთქვა იმედი, რომ მოხდება შეთანხმება და საქართველო, ასევე უკრაინა და მოლდოვა მიიღებენ მხარდაჭერას ევროკავშირის წევრი 27-ვე ქვეყნისაგან.

• • •

რას უკავშირებენ უნგრეთის პრეტენზიებს?

ანალიტიკოსების უმრავლესობა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უნგრეთის პრემიერის გაჯიუტებას ორ ფაქტორს მიაწერს – კრემლთან გარიგებას და საკუთარ საკითხებზე ვაჭრობის შესაძლებლობას. უნგრეთის უკრაინასთან დაპირისპირების პროექტი საკვანძოდ არ მიიჩნევა.

ორბანი ცდილობს, დაბლოკოს არა მხოლოდ უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაცია, არამედ მისთვის დახმარების გამოყოფა. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი მოითხოვს, „სტრატეგიული დისკუსიის“ გამართვას უკრაინის საკითხზე. თვითონ დარწმუნებულია, რომ ევროკავშირი რუსეთთან ომში უკრაინას არ უნდა დაეხმაროს.

ევროკავშირში ორბანის ახლანდელ პოზიციას, იგივე ე.წ. „უნგრულ ვეტოს“ ბევრი პოლიტიკოსი ასე ხსნის: ის იყენებს უკრაინულ კარტს მისთვის საჭირო საკითხებზე სავაჭროდ.

ერთ-ერთ ასეთ საკითხად სახელდება სასამართლო განხილვა. 30 ნოემბრიდან მიმდინარეობს ევროკომისიის სარჩელის განხილვა უნგრეთის წინააღმდეგ.

სასამართლო დაადგენს ჯარიმის ოდენობას, რომელიც უნგრეთმა უნდა გადაიხადოს იმის გამო, რომ არ ცვლის თავის მიგრაციულ კანონმდებლობას. ამის გამო უნგრეთს შეუჩერდა დაფინანსება ევროკავშირიდან. თუმცა, გადაწყდა, რომ ამ დახმარების ნაწილს უნგრეთი (900 მილიარდი ევროს ოდენობის ავანსს) მიიღებს, ჯარიმა კი აქედან დაექვითება.

• • •

ევროკავშირი რეფორმირდება?

უნგრეთის (ან სხვა ქვეყნის) მუქარა, დაადოს ვეტო ამა თუ იმ საკითხს, ევროკავშირს დაბრკოლებებს უქმნის. არსებობს ინფორმაცია, რომ გერმანია, საფრანგეთი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო სვამენ ორგანიზაციის რეფორმირების საკითხს. მათი მოსაზრებით, უნდა მოხდეს ცვლილებები, რომლითაც შეიზღუდება ვეტო და გამყარდება კანონიერების დაცვის მექანიზმები. თუ ასეთი რეფორმა გატარდა, მომავალში უნგრეთი ან რომელიმე სხვა ქვეყანა თავისი მოთხოვნებითა და ვეტოებით ვეღარ იმოქმედებს გადაწყვეტილებების მიღებაზე.

უკრაინის წინააღმდეგ ყველაზე მეტად უნგრეთი აქტიურობს. პოლიტოლოგების ინფორმაციით, უკრაინის შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ასევე პოლონეთი და სლოვაკეთი. პოლონეთი უკრაინას კონკურენტად მიიჩნევს მარცვლეულის საკითხში. პოლონეთი უკრაინას ვოლინის ხოცვა-ჟლეტასაც უხსენებს.

ამ დღეებში ევროკავშირმა მხარი არ დაუჭირა ესპანეთის ინიციატივას. ამ ინიციატივით, რუსეთის გაყინული აქტივებიდან მოგება უკრაინის დასახმარებლად უნდა გაიგზავნოს.

უკრაინის მიმართ ევროპაში უკვე გაისმის ორჭოფული დამოკიდებულება. ევროპულ მედიაში გამოითქმის შიში, რომ თუ აშშ უკრაინას დახმარებას შეუმცირებს, უკრაინის დამფინანსებელ ევროპას აგრესორ რუსეთთან ურთიერთობა უფრო დაეძაბება.

სარემონტოდ ჩაკეტილი 37 სკოლა და ალტერნატიულ სასწავლებლებში ტრანსპორტირებისთვის დახარჯული მილიონობით ლარი

რვა მილიონზე მეტი ლარი [illegible]სწავლეების სკოლებამდე მი[illegible]ყვანად. რაში იხარჯება მოზარ[illegible]ების კუთვნილი ფული. განათ[illegible]ების სამინისტრომ გამოაცხადა [illegible]ალი ტენდერი, რომლის ღირე[illegible]ულება გასულ წელთან შედარე[illegible]ით ლამის გაორმაგებულია. იმისთვის, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში გადასული სკოლების მოსწავლეებმა განათლება შეუფერხებლად მიიღონ, საჭიროა მათი ტრანსპორტირება ალტერნატიულ სკოლებში, რაც, როგორც ჩანს, წლიდან წლამდე სულ უფრო ძვირი ჯდება.

ასევე წლიდან წლამდე იზრდება დანგრეული ან სარემონტოდ ჩაკეტილი სკოლების რაოდენობა. ასეთი ახლა 37 სასწავლო დაწესებულებაა, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

თბილისში მთლიანად 37 სკოლა არის, რომლის ნაწილი ასაშენებელია, ნაწილი სარეაბილიტაციო. ეს პროცესი უკვე წლებია გრძელდება. ყველანაირი ხარჯი იზრდება და ამ ხარჯთან ერთად ბავშვებიც ვერ იღებ განათლებას იმ [illegible]რობებში, რა პირობებშიც უნდა იღებდნენ. 80 [illegible] სკოლებისა უკვე აშენებული და რეაბილიტ[illegible]ებული უნდა იყოს, მაგრამ ამ მიმართულებით არის ძალიან დიდი პრობლემები – [illegible]აუშენებელი სკოლები, რომლებიც [illegible]დაშალეს და ვერ ააშენეს, ეს ძალიან ბევრი არის ნაძალადევის რაიონში. ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი არის განათლების სამინისტრო, – ამბობს „ევროპული საქართველოს“ წევრი ბესო დონაძე.

„ლელოში“ კი ტენდერებში მუდმივად გამარჯვებულ ერთ კომპანიაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ განათლების სამინისტრო შპს „თაიმ სერვისს“ მილიონიან ტენდერებს აგებინებს.

– განათლების სამინისტროს ამ მიმართულებით 42 მილიონი ლარის ტენდერები აქვს გამოცხადებული და ფაქტობრივად ყველა ტენდერი მოგებული აქვს ერთ კომპანიას. მხოლოდ ბოლო სამი წელი რომ ავიღოთ 28 მილიონის ტენდერები აქვს მოგებული ამ კომპანიას. ეს არის შპს „თაიმ სერვისი“. განათლების სამინისტროს არაორგანიზებულობის გამო ეს პროცესი იწელება და ბავშვები ძალიან წვალობენ, – განაცხადა ნიკა ჩერქეზიშვილმა.

მშობლები კი ამბობენ, რომ დიდ მანძილზე სიარული ბავშვებისთვის დისკომფორტია და გზაში ძალიან დიდ დროს ხარჯავენ.

ეკონომიკა

„მალე მრავალი სამშობიარო სახლი დაიხურება“

– ამ ყველაფერს მალე მოჰყვება მრავალი სამშობიარო სახლის დახურვა და ეგრეთ წოდებული „დიდი ჯიბეების“ დაკერება თეთრ ხალათებზე, – ასე ეხმაურება ექიმთა უფლებების დაცვის ასოციაცია სამშობიარო სახლების DRG სისტემაზე გადასვლის საკითხს.

ასოციაციის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– სამშობიარო სახლების DRG სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია: მშობიარობა და საკეისრო კვეთა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ 1.221.92 ლარით.

დაფინანსების თანხა გაიზარდა, რადგან აქამდე 500 ლარით ფინანსდებოდა ფიზიოლოგიური მშობიარობა და 800-ით საკეისრო კვეთა.

ეს დადებითი და პოზიტიური საკითხია სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა, ამას თან მოჰყვა გარკვეული საკითხები, რაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას. მაგალითად, გაუქმდა პერსონალური ექიმის აყვანის საშუალება. ყველა ორსული ვალდებულია იმშობიაროს ან გაიკეთოს საკეისრო კვეთა მორიგე ბრიგადაში.

პერსონალური ექიმის აყვანის შემთხვევაში კი მშობიარე იხსნება DRG სისტემიდან, რაც ავტომატურად ნიშნავს:

მშობიარობის სრული საფასურის თავად გადახდას (კლინიკაში შიდა სტანდარტით გადახდის შემთხვევაში, ფიზ. მშობიარობა და საკეირო კვეთა გაცილებით უფრო მეტი ღირს, ვიდრე 1.221 ლარია) + ექიმის აყვანის თანხა + თუ მოხდა და გართულდა შემთხვევა, სახელმწიფო უარს ამბობს ყველანაირი ფინანსურ პასუხისმგებლობაზე (ამ თანხის გადახდაც მოუწევს პაციენტს).

თუ მოხდა და კლინიკაში ამ ყველაფრის გვერდის ავლით ექიმმა გაბედა და აიღო ანაზღაურება (ჰონორარი, რაც ადრე იბეგრებოდა სახელმწიფოს მიერ 20%-ით), დგება ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი.

ამას გარდა, ექიმი ვალდებულია, ყოველწლიურად ფინანსურად უზრუნველყოს და მიიღოს უწყვეტი სამედიცინო განათლება, დააგროვოს ე.წ. კრედიტ ქულები.

მრავალი სამშობიარო სახლი 1.221.92 ლარიდან თეთრს არ უხდის ექიმს, მხოლოდ მორიგეობის თანხას (და მრავალი ხელმძღვანელი პირი უკვე მოუწოდებს სამედიცინო პერსონალს, ხელზე თანხის აღებისკენ)!!! აქ დასკვნები თქვენ გააკეთეთ.

ამ ყველაფერს, სრულიად მალე მოჰყვება მრავალი სამშობიარო სახლის დახურვა...(შემდეგ პოსტში აუცილებლად ჩამოვთვლით ამ სამშობიარო სახლებს) და ეგრეთ წოდებული „დიდი ჯიბეების“ დაკერება თეთრ ხალათებზე!

როგორ გგონიათ, ექიმი, რომელიც მრავალი წელი სწავლობდა, შრომობდა, მორიგეობდა, გადიოდა სხვადასხვა სასწავლო კურსს, ვალდებულია, არასამუშაო საათებში, უხელფასოდ მივიდეს სამშობიარო სახლში და ამშობიაროს პაციენტი ან გაუკეთოს საკეისრო კვეთა?! – აღნიშნულია განცხადებაში.

რუსეთის რამდენმა მოქალაქემ დააფუძნა კომპანია საქართველოში ბოლო 21 თვეში



პარლამენტის წევრმა, თინა ბოკუჩავამ იუსტიციის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთის რამდენმა მოქალაქემ დააფუძნა კომპანია საქართველოში.

როგორც საჯარო რეესტრის მიერ სადეპუტატო კითხვის პასუხად გაგზავნილი მონაცემებიდან ირკვევა, 2022 წლის 24 თებერვლიდან მოყოლებული 2023 წლის ნოემბრის პერიოდის ჩათვლით, საქართველოში დარეგისტრირდა 2.151 სუბიექტი, რომელთა წილის მესაკუთრედ ან/და დამფუძნებლად რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის 2.625 მოქალაქე.

ამასთან, რეესტრის მონაცემებით, ბოლო თითქმის 2 წლის განმავლობაში, დარეგისტრირებულია 1.658 იურიდიული პირი, სადაც ხელმძღვანელი/წარმომადგენლის ან/და მმართველი ორგანოს წევრის სახით რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციის 1.711 მოქალაქე.

გასულ წელს 30.975 საწარმო გაუქმდა — დარგები, სადაც ყველაზე მეტი კომპანია აღმოჩნდა წარუმატებელი

გასულ წელს 30.975 საწარმო გაუქმდა, რაც 2019 წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს 30.658 კომპანია გაუქმდა, 2020 წელს – 27.549, ხოლო 2019 წელს – 32.434.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, გასულ წელს ყველაზე მეტი, 12.286 საწარმო, ავტომობილების საბითუმო და საცალო ვაჭრობაში გაუქმდა, შემდეგია დამამუშავებელი მრეწველობა და ტრანსპორტირება/დასაწყობება.

გთავაზობთ ტოპ-10 დარგს, სადაც ყველაზე მეტი კომპანია გაუქმდა:

ავტომობილების საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 12.286; დამამუშავებელი მრეწველობა – 2.737; ტრანსპორტირება/დასაწყობება – 2.280; მშენებლობა – 2.209;

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები – 2.166; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 1.023; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები – 925; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები – 574; სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა – 419; ინფორმაცია და კომუნიკაცია – 412.

საქართველოში მედიკამენტების ყველაზე მსხვილი იმპორტიორი 5 კომპანიიდან 2 აზერბაიჯანელ ინვესტორს ეკუთვნის

მიმდინარე წელს, 10 თვეში საქართველომ 457,4 მლნ ლარის მედიკამენტები შეიძინა, რაც 117,3 მლნ-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. შარშან იანვარ-ოქტომბერში მედიკამენტების იმპორტმა 340,1 მლნ ლარი შეადგინა.

ამასთან, წელს შემოსული წამლებიდან 12,217 მლნ აშშ დოლარი დაუფასოებელ მედიკამენტებზე მოდის, 445,229 მლნ ლარის კი დაფასოებულზე.

საქსტატის მონაცემებსა და სამეწარმეო რეესტრზე დაყრდნობით, გთავაზობთ ინფორმაციას იმ ტოპ-5 კომპანიის შესახებ, რომლებმაც წელს მედიკამენტების იმპორტი ყველაზე დიდი რაოდენობით განახორციელეს.

სს გეფა – კომპანიის კონსოლიდირებული ანგარიშგების მიხედვით, 2022 წლის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერთა სტრუქტურა ასეთი იყო: კომპანიის 77%-იანი წილი სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს ეკუთვნოდა, 20% – ენრიკო ბერიძეს, ხოლო 3% – მიხეილ აბრამიძეს. მშობელი კომპანია ფლობს ჯგუფის საკონტროლო პაკეტს. ეს უკანასკნელი არის ინგლისში, ლონდონში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (შემდგომში „GHG“) 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია (წყარო – რეპორტალ.გე). დირექტორია ანდრო თევზაძე.

შპს აბულფარმ – სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, კომპანიის მფლობელი და დირექტორი აზერბაიჯანის მოქალაქე რამილ ჰუმმატოვია.

შპს შოთაფარმ – აღნიშნული კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი კვლავ აზერბაიჯანის მოქალაქე რამილ ჰუმმატოვია, რომელიც ზემოთ ნახსენებ აბულფარმს ფლობს.

შპს ავერსი-ფარმა – კომპანიის 67% ეკუთვნის პაატა კურტანიძეს, 33% კი ნიკოლოზ კურტანიძეს. ავერსი-ფარმას გენერალური დირექტორია გიორგი მელანაშვილი.

შპს პსპ ფარმა – კომპანიის 95% ეკუთვნის დეპუტატ კახაბერ ოქრიაშვილს, ამჟამად წილის მმართველია ვაჟა ოქრიაშვილი, 5% კი თენგიზ ჯამელაშვილს. კომპანიის დირექტორია ვაჟა ოქრიაშვილი. ცნობისთვის, ხუთეული არ არის დალაგებული რეიტინგის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გასრესილ, უზარმაზარ ტარაკანასავით ზურგზე ამობრუნებულს ვტოვებთ ტრაქტორს“

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

დოდო გუგეშაშვილი:

– თამაზ ნადარეიშვილის მისაღებში ბესო მამუკელაშვილი გვხვდება. ბესო რუსეთ-საქართველოს ომში, აფხაზეთში მყავს გაცნობილი ადრე. ღამის გათევა მომიწია სოხუმში, დედამისის სახლში. ღამის პერანგი ჩამაცვა და ხრაშუნა თეთრეულში ჩამაწვინა ყურადღებიანმა და გულუხვმა ქალბატონმა. ადამიანურ პირობებში მოხვედრამ თვალი არ მომახუჭვინა. გათენებამდე ოჩამჩირისკენ დავიძარი. ხანდახან, როცა ძალიან მომენატრებოდა, ღამის პერანგს ვიცვამდი და ნეტარებით დავფართხუნებდი შტაბის კარჩაკეტილ ოთახში.

ბესო სიცილისგან იგუდება ჩვენი ჩაცმულობის დანახვაზე. მე და ამირანი მართლაც დროის „შესაფერისად“ ვართ გამოწყობილები: ღვართქლი გასდის სოხუმს, ჩვენ კი მხოლოდ სკაფანდრები და ირმების მარხილიღა გვაკლია.

ნადარეიშვილი ჩვეული სითბოთი და ყურადღებით გვისმენს. უძილო სახეზე ღიმილი აქვს გადაკრული. ვიცი, როგორც კი კარს იქით დაგვიგულებს, გულიანად ამოხეთქავს შეკავებულ სიცილს.

ბატონ ჯაბას ვუკავშირდები. სათანადო საბრძოლო შეიარაღების დამატებას ვთხოვ, მხოლოდ ჩვენ ორისთვის, გეგმასაც ვუთანხმებ.

დედაჩემთან დაურეკავს გურიაში. უთქვამს, რომ ტანმრთელი და ჯანმრთელი ვარ, საგანგებო, „მშვიდობიან“ დავალებაზე ვარ. ეს სასიამოვნო ინფორმაცია რამდენიმე დღეს მაინც უშფოთველად გაატარებინებს ჩემს ოჯახს. კმაყოფილი ვარ.

სოხუმის მთავრობის სახლიდან გენო ადამიასთან მივდივართ შესახვედრად. შტაბთან, სოხუმელი ვაჟკაცი, გუთუ ჯღამაია მხვდება ბიჭებთან ერთად. მიკითხვ-მოკითხვის მერე, გუთუ 45-იან მჭიდს მჩუქნის. გენოს ოთახში ადამია და ანზორ ლაცუზბაია (პროკურორი) თათბირობენ. სახე უბრწყინდებათ ჩვენგან ინფორმაციის მიღებისთანავე. ვერტმფრენს იძახებს გენო, ახლა ვერტმფრენით უნდა ავფრინდეთ დალის (კოდორის) ხეობაში.

გენო ადამია

„რას ინატრებო?“ – მზრუნველად მეკითხება გენო ადამია, „ბევრ შოკოლადს და ბევრ ნაყინს“, – ჩატკბარუნებით ვპასუხობ. „ომი როცა დამთავრდება, ნაყინის საამქროს გაჩუქებთ და ზაფხულში ჩასაცმელად, თბილ ქურქს“, „გულუხვობას“ იჩენს ანზორი. არაფერს ვეუბნები. „ხეობაში ვნახავთ“, – ვფიქრობ.

ამირანი მოტოციკლეტით ბრუნდება ხეობაში, თან 2 „სტრელაც“ მოაქვს, სოხუმში აღებული. ჩვენ ვერტმფრენით მივფრინავთ. მერე ვიგებთ, ვერტმფრენის დანახვისთანავე ადგილობრივი პოსტიდან „სტრელა“ უსვრია ჩვენთვის (ინფორმაცია არ ჰქონდა, ახალი ცვლა იყო), ბოლო წამს ხელი აუკრავს ბაჩო არღვლიანს.

ხეობაში კბილს კბილზე აკაკუნებს ლაცუზბაია, რამდენიმე კილომეტრს ერთად „მივაპობთ“ თოვლს, ახლა მე ვხალისობ მისი მსუბუქად ჩაცმულობის გამო. თავის მხლებლებთან ერთად მიფრინავს გენო ადამია სოხუმში ნივთმტკიცებებით. მე და „მონადირის“ ბიჭები ერთად ვგეგმავთ შემდგომ მოქმედებებს.

არჩვი მოინადირეს ბიჭებმა. მთებზე ლაღად მოკუნტრუშე, ახლა საცოდავად აგდია რქებგადაგრეხილი.

ოპერაციაზე გავდივართ გამთენიისას. დაგეგმილზე მეტხანს მოგვიწია ტყეებში ხეტიალმა და მერე „დანიშნულების ადგილზე“ მოქმედებამ. წვიმის თქეშს ვერ აჩერებს ხის ტოტებისაგან, ხეებს შორის დაწნული სახურავი. წვიმა მომგებიანია ოპერაციის შესასრულებლად, ისე ვუახლოვდებით ობიექტებს, ვერც ერთი პოსტი (სეპარატისტების) ვერ იგებს. ღამით ტყეში თაგვებისა და უხსენებლების შიში თვალს არ მახუჭვინებს, დღისით დიდ გულზე ვარ და ბიჭებთან ერთად შევექცევი რომელიღაც ბუჩქის ფოთლებს და ხის ძირში ამოსულ ქორფა ყლორტებს (ჩემი რაზმის სვანებმა კარგად იციან, რომელი წყურვილს კლავს და უჭმელებს, ენერგიას რომელი მცენარე გვმატებს).

ძალიან ღრმად ვართ გასულები, შორიდან გრუხუნის ხმა გვესმის. ბიჭები დაზვერვაზე გადიან, უგვიანდებათ. დაძაბული ველოდებით ტყეში მათ დაბრუნებას. ინფორმაცია მოგვიტანეს, გაღმა ბაგადის მთით, კოდორის მარცხენა სანაპიროთი, შემოვლითი გზის შემოყვანას აპირებენ სეპარატისტები. მერე უკიდურესი საფრთხე შეექმნება ხეობას. ღამით გავდივართ. „მთა-კაცა“ გელოვანი ასაფეთქებლებით სავსე ზურგჩანთებითა და ტყვიამფრქვევით წინ მიდის, სერგო გერასიმენკო და ჯამბულ ჭკადუა ჩვენს 7-კაციან რაზმს ზურგიდან კეტავენ. ოთარ შუკვანი წყნარი სტვენით გვაფრთხილებს, ჩავწვეთ. ტალახში ვგორდებით. მიშა ქავთარაძე (თავადო) და ემზარი (ზღარბი) მხრებში მავლებენ ხელს და ტალახიდან მთხრიან. ისევ წინ მივიწევთ.

გასრესილ, უზარმაზარ ტარაკანასავით ზურგზე ამობრუნებულს ვტოვებთ ტრაქტორს, ზემოთ აშვერილი საცეცებივით ბორბლებ-მუხლუხებით. სეპარატისტების მიერ ნაწვალევ-ნაჯახირევი გზის ის ნაწილი, რომლის გაჭრაც მოუსწრიათ, ისევ თავზე დავამხეთ.

კმაყოფილები ვბრუნდებით ჩვენს შტაბში, „ჩემბერკაში“. ადგილობრივი მეზობელი, გულო, ცხელ კერძს და ქაფქაფა ჩაის გვახვედრებს გათოშილებს. ხელახლა დაიწყეს მოგვიანებით გზის გაჭრა სეპარატისტებმა. ახლა ტყით არა, კლდით უნდა გადავიდეთ. სქელ თოკს მახვევს კინგ-კონგი წელზე, თოკის მეორე ბოლოს თვითონ იხვევს და ვიწყებთ კლდეზე ასვლას. ყველა სვანი ფეხმარდი და ალპინისტია. ჩემი რაზმის სვანები უთოკოდაც მშვენივრად მიცოცავენ კლდეზე, ბადრის მე ვაფერხებ

მხოლოდ. ჩემი ხელისგულებიდან და მუხლებიდან აცლილი კანი ჭიაყელებივით კიდია ბუჩქებზე. არ ვიმჩნევ. ისედაც უჩემოდ უნდოდათ წასვლა ბიჭებს „საქმეზე“. ისე გამეტებით ჩამოვშალეთ მთის ნაწილი, გზის გაჭრაზე დიდხანს ვერ იოცნებებენ სეპარატისტები.

ავთო პაკელიანი „მონადირის“ ბიჭებთან ვალიკო გერლიანთან, გურჩიანთან, აჟარელ მიქიანთან ერთად აჟარის უღელტეხილებზე გადის ბინოკლებით, დაზვერვაზე. ოთხი დღე ეძებენ ორფეხა მხეცების ნაკვალევს. სიმშვიდეა.

ბადრი გელოვანს ვუშვებ ჭუბერში, რეზო გუჯეჯიანთან შესახვედრად. რეზოსა და მის მამაც მესაზღვრეებს ერთობლივ „საქმეს“ ვთავაზობ. რამდენიმე დღეში დაბრუნებული ბადრი კარგი ამბით ბრუნდება. რეზო გუჯეჯიანი ჭუბერიდან ხაიში-ტყვარჩელის მარშრუტით დაარტყამს ტყვარჩელს. მე, იმავდროულად, ჩემი ბიჭებით, ლათა-ბაგადა, ნაას მიმართულებიდან ცოცხალი ძალით, ხოლო სახელდახელო აეროპორტიდან (რომელზედაც უკვე დაწყებული გვაქვს მუშაობა) ზემოდანაც დავცხებთ მსხვილკალიბრიანი დანადგარებით, ქვემეხებით (ოჩამჩირიდან ამოვაგრიალებ ვერტმფრენით).

ვერტმფრენის დასაჯდომს ვამზადებთ მთაზე. უმოწყალოდ ატიტვლებენ ბიჭები მთის ერთ ნაწილს, შეუსვენებლივ მუშაობენ, ხელისგულებზე ბებერა ბორცვები უჩნდებათ. მოუთმენლად ველოდებით შესაფერის პირობებს დიდი ოპერაციის დასაწყებად. მზადებაშიც ვართ, პოსტებზეც ვდგავართ, დაზვერვაზეც დავდივართ, შედეგიან „საქმეებზეც“ და ზოგჯერ, ხეობაში „შემოხეტებულებსაც“ სოროებისკენ მივერეკებით.

სვანებისგან ნაჩუქარ ჩემს ცხენს ძალიან უყვარს შაქარი. ჩემი ხელისგულიდან ისე გემრიელად ახრამუნებს, ლამისაა, კბილებში მოქცეული შაქარი გამოვგლიჯო. არც თუ იშვიათად, ცხენებითაც გვიწევს გასვლა. გონიერი და ერთგულია ცხენი. გავლილ მარშრუტს არ ივიწყებს. „საქმიდან“ დაბრუნებული, დენთის ალმურავარდნილ, დაქანცულ სხეულს ჩემს უტყვ მეგობარს ვანდობ, დაძინებული მივყავარ შტაბამდე.

ქვაბჩარიდან ლათამდე 14 კმ. ტყით ვიარეთ დაზვერვაზე. უკან, გზით ვაპირებთ დაბრუნებას. საშინელი გრიალის ხმა გვესმის. წინ, მოშორებით მიმავალი, ადგილობრივი ბიჭები ნაღმზე ფეთქდებიან. ჩვენ და ადგილობრივები სხვადასხვა მიმართულებით საგულდაგულოდ ვჩხრეკთ ტყეს. ვერავის უპოლობთ. რამდენიმე წუთის წინაა ნაღმები ჩაწყობილი, ან ხეობელი გამყიდველია, ან უჩინარი სეპარატისტები, ნაკვალევსაც რომ არ ტოვებენ ტყეში.

სვანური, ტრადიციული რიტუალით, ძმად ვეფიცები ჩემი რაზმის სვანებს. მთასავით მოხეთქილ ბიჭებში ძალიან გაკნაჭულ, ნაბოლარა ძმად ვჩანვარ. ჩემი საძმო სიყვარულით, „მიშკულადეღ, სი“ მებუბუნება. ხშირად სვანურად ვსაუბრობთ. „საყველპურო“ სვანური ბიჭებმა მასწავლეს. უზომოდ მომწონს ეს დიალექტი. განსხვავებული, კაცური შარმი აქვს. ბიჭები „კატის და ლომის ზღაპარს“ არ ივიწყებენ და ჩემი მონდომების მიუხედავად, საფუძვლიანად არ მასწავლიან ენას. „ხოჩა ლადეღ“, დილით ვესალმები ბიჭებს. „იმ თესხრი“ (საით მიდიხარ), ვეკითხები. „გაგრათე“, ნატვრასავით მპასუხობენ ბიჭები. მერე ისევ სვანურად ვაგრძელებთ მარტივი წინადადებებით (რთულამდე ვინ მიმიშვა) მიკითხვ-მოკითხვას. გვახარებს ჩემი წარმატებები ენის ათვისებაში.

ივლისში, ტამიშის რუსების დესანტისგან განთავისუფლების ოპერაციაში ვიღებ მონაწილეობას, ისევ ხეობაში ვბრუნდები, ბატონი ჯაბასგან მიღებული ახალი დავალებებით.

ტყვარჩელის სოფლებზე გავდივართ. იარაღით გაძეძგილ გვირაბებს ჰაერში ვწევთ მცველებთან ერთად. ისევ ტყეს ვაფარებთ თავს. თოკზე გაბმული ხელყუმბარებიან „ღობეს“ ვივლებთ და ვისვენებთ, კმაყოფილები. ზოგჯერ ნებივრობის უფლებასაც ვაძლევ თავს. ჩემბერკის განაპირას, მდინარეში, მჭადივით ბრტყელ ქვაზე ტანსაცმლიანად გაწოლილი, სახეს ვირუჯავ. ჩემი ცხენი ჩემს საძმოელთან ერთად, შორი-ახლოს დგას, დაბერილი, ჯიშიანი ნესტოების თრთოლვით ბრაზიანად ქშინავს. ამ ადგილს „დოდოს პლაჟს“ არქმევენ ბიჭები. ჩემს „ჩოხა-ახალუხიან“ ზაგარზეც ხალისობენ.

ჯალეიდოსკოპი

განძისმაძიებელმა უიშვიათესი ათასი წლის ოქროს მონეტა იპოვა

ნორვეგიაში განძისმაძიებელი გადააწყდა ამ რეგიონისთვის უიშვიათეს, მე-10 საუკუნის, ბიზანტიურ ოქროს მონეტას.

დაახლოებით ათასი წლის მონეტა ლითონმაძიებელი ხელსაწყოს დახმარებით ოპლანის გუბერნიის ვესტრე-სლიდრეს კომუნის მახლობლად მთებში იპოვეს. არტეფაქტი შესანიშნავ მდგომარეობაშია შემონახული. ასეთ მონეტებს ჰისტამენონებს უწოდებენ. მის ერთ მხარეს ქრისტეს გამოსახულებაა გამოჭედილი და ამშვენებს წარწერა: „იესო მეფე, მეფეთ მეფე“. მონეტის მეორე მხარეს გამოსახულია იმპერატორი ძმები ვასილი II და კონსტანტინე VIII და გაკეთებულია წარწერა: „ვასილი და კონსტანტინე რომაელთა იმპერატორები“. აღნიშნული მონეტა 977-დან 1025 წლამდე პერიოდშია გამოჭედილი.

სპეციალისტებს არ აქვთ პასუხი კითხვაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ბიზანტიიდან 2,5 ათას კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ ნორვეგიაში ეს ოქროს მონეტა. ერთი ვერსიით, ის იქ ნორვეგიის მომავალმა მეფე ჰარალდ III სასტიკმა ჩაიტანა. ცნობილია, რომ 1034 წელს ის თავის რაზმთან ერთად კონსტანტინოპოლის საიმპერატორო გვარდიაში ჩაეწერა.

ადგილობრივი თქმულებების საგების თანახმად, ჰარალდი ნორვეგიაში ოქროთი და სხვა ძვირფასეულობებით დატვირთული ხომალდებით დაბრუნდა.

ყველაზე ლამაზმა იტალიელმა მამაკაცმა ღვთისმსახურად გახდომა გადაწყვიტა

იტალიელმა მამაკაცმა-მანეკენმა გადაწყვიტა, მოდელის კარიერა დაასრულოს, ვინაიდან მან ღვთისმსახურად გახდომა გადაწყვიტა.

21 წლის ედოარდო სანტინიმ, რომელიც 2019 წელს სილამაზის კონკურზე ქვეყნის ყველაზე ლამაზ მამაკაცად აღიარეს, გადაწყვიტა, მოდისა და მოდელინგის სამყარო დატოვოს. შაბათს, 2 დეკემბერს მან სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ სურს საკუთარი თავი რწმენასა და ღმერთს მიუძღვნას. მისი თქმით, ის უკვე შევიდა სასულიერო სემინარიაში, რომელიც ფლორენციის მახლობლად მდებარეობს.

– 21 წლის ასაკში შევუდექი სულიერებისკენ მიმავალ გზას, თუ ეს უფლის ნებაც იქნება. გადავწყვიტე, მოდელის, სამსახიობო ოსტატობისა და ცეკვების სამსახური დავტოვო, მაგრამ თავს არ ვანებებ საკუთარ გატაცებებს. უბრალოდ მათ სხვაგვარად უფლის მსახურებისთვის გამოვიყენებ, – დაწერა სანტინიმ.

სანტინის თქმით, ის გასულ წელს ორ ღვთისმსახურთან გადავიდა საცხოვრებლად და ეს მისთვის ყველაზე მშვენიერი მომენტი იყო მის ცხოვრებაში, რამაც ის საკუთარ ცხოვრებაში ცვლილებებზე დააფიქრა. მან ღვთისმეტყველების შესწავლა დაიწყო და ფლორენციის ეპარქიის ორ სამრევლოში დაიწყო მოღვაწეობა. სანტინი დარწმუნებულია, რომ არასდროს ინანებს თავის ამ გადაწყვეტილებას და ეს მას ბედნიერებას მოუტანს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მედიცინა

კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

- აიღეთ 1 ჩაის კოვზი ხებალახას ყლორტები. გააშრეთ და კარგად დააქუცმაცეთ. მიღებული ნედლეულის 1 ჩაის კოვზს დაასხით 1 ჭიქა (200 გრამი) წყალი. მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში. კურსი 1 კვირაა. უფრო დიდხანს და მეტი დოზებით მიღება სახიფათოა. ხებალახა შხამიანია და ექიმის დანიშნულების გარეშე მისი მიღება დაუშვებელია.
- 20 გრამი ხეშავის ნაყოფი დააყენეთ ოთახის ტემპერატურის 200 გრამ წყალზე. მიღებული ნაყენის 1 სუფრის კოვზს იღებენ 3-4-ჯერ დღეში.
- აიღეთ 15 გრამი გამხმარი სიმინდის თმა, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით 1 ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. შემდეგ ნახარში გაწურეთ. დალიეთ დილის ჩაის ნაცვლად 1 ჯერზე. სვით მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.
- აიღეთ უმარილო ღორის ქონი 90 გრამი, დაჭერით ნაჭრებად, მოათავსეთ ჭურჭელში და ნელ ცეცხლზე გამოადნეთ. შემდეგ გამოდნობილი ნაჭრები მოაშორეთ, ქონი გააციეთ. მიიღეთ ჭამის დროს ბოსტნეულთან ერთად.
- მდუღარე წყლიან ჭურჭელში ჩაყარეთ 50 გრამი არაქისი, დაუმატეთ 50 გრამი უნაბის ნედლი ნაყოფი და 50 გრამი შაქარი. ყველაფერი ეს ხარშეთ ნელ ცეცხლზე 30-40 წუთი, შემდეგ გააციეთ. მიიღეთ დღეში ერთხელ ძილის წინ. არაქისი და უნაბი შეჭამეთ. დააყოლეთ ნახარში. მკურნალობის კურსი 1 თვეა.
- 3 დღის განმავლობაში ყოველ დილით უზმოზე ავადმყოფმა უნდა მიიღოს 1 ცალ ლიმნის წვენში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა.
- მატიტელა მოხარშეთ 5 წუთის განმავლობაში და მიიღეთ დღეში სამჯერ.
- 20 გრამი ბირკავას ნაყოფი მოხარშეთ 1 ჩაის ჭიქა წყალში. მიიღეთ 1/2 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ. მოცემული ნაყენი ციროზის დროსაც ეფექტურია.
- აიღეთ 100 გრამიანი ჭიქა, გაავსეთ ნატურალური თაფლით. შემდეგ გახეხეთ სუფთა ქარვა, რომ გამოვიდეს 1 ჩაის კოვზი. ეს ქარვა აურიეთ თაფლში. მიიღეთ ჭამის წინ დღეში 4-ჯერ ჩაის კოვზით. მოცემული დოზა საკმარისია იმათთვის, ვისაც ბოტკინი 10 დღის დაწყებული აქვს. იგი ეფექტური საშუალებაა ჩიყვის დროსაც.

რუსეთის პრეზიდენტის გეგმები ჩაიშალა



პუტინს ამ ზამთრისათვის დიდი გეგმები ჰქონდა. მას დაგეგმილი ჰქონდა აეღო ავდეევკა ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლოსათვის. ეს ვერ მოხერხდა. შემდეგ დაითქვა ახალი ვადა, 7 ნოემბერი. ესეც ჩაიშალა. ახლა პუტინმა ახალი ბრძანება გასცა: 14 დეკემბრამდე ავდეევკა უნდა დაეცეს!

რუსეთის პრეზიდენტი ჩქარობს და ეს გასაგებიცაა. დონბასში უკვე წვიმებია და მძიმე ტექნიკას გადაადგილება უჭირს. 14 დეკემბრის შემდეგ მძიმე ტექნიკის გადაადგილება საერთოდ შეუძლებელი გახდება. თუ პუტინმა ავდეევკა 14 დეკემბრამდე ვერ აიღო, მაშინ ქალაქის შტურმი მომავალი წლის თებერვლისათვის უნდა გადადოს. თებერვალში უკვე ყინვები იქნება და მძიმე ტექნიკის გადაადგილებაც გაიოლდება.

პუტინი ჩქარობს. სავარაუდოდ, ამა წლის 14 დკებმრამდე რუსების შეტევები მთელ ფრონტზე გაძლიერდება. თუ ამ ხნის განმავლობაში ოკუპანტებმა შედეგს ვერ მიაღწიეს, მაშინ ომი სხვა ელფერს მიიღებს.

აზერბაიჯანელი ექსპერტის რუსტამ-ზადეს აზრით, 14 დეკემბრამდე ავდეევკის აღება არარეალურია. ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის ანალიზი ამას ცალსახად უჩვენებს. შესაბამისად, პუტინის უკანასკნელი ბრძანებაც შეუსრულებელი დარჩება. მაგიერში რუსეთი უკრაინული ქალაქების დაბომბვას გააძლიერებს. ძირითადი სამიზნეები იქნება ენერგეტიკა, სამთავრობო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები. ბუნებრივია, ამას პასუხი მოჰყვება და უკრაინელები რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებს გააძლიერებენ.

– ზამთარში, სავარაუდოდ, საბრძოლო მოქმედებები შემცირდება. გაიმართება დრონების ომი, როცა რუსეთი უკრაინის ტერიტორიის მასიურ დაბომბვას დაიწყებს, უკრაინელები კი რუსეთზე დარტყებს გააძლიერებენ, – თვლის რუსტამ-ზადე.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ცნობით, რუსეთს რაკეტები ცოტა დარჩა. სამაგიეროდ, ბევრი აქვს დრონები. უკრაინას ანტიდრონული შეიარაღება ბევრად ცოტა აქვს, ვიდრე რუსეთს, რაც მოსკოვს უპირატესობას აძლევს. სამაგიეროდ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ რუსეთი ტერიტორიულად უკრაინაზე ბევრად დიდია, შესაბამისად, მოსკოვს საკუთარი ტერიტორიების მთლიანად დაცვა გაუჭირდება.

რუსეთ-უკრაინის ომის ხასიათი იცვლება. უკრაინა ტოტალურ თავდაცვაზე გადადის. რუსეთი ცდილობს შეტევის განხორციელებას, მაგრამ ამინდები ხელს უშლის. ომიც, სავარაუდოდ, ახალ ფაზაში გადავა. მთავარი აქცენტი გაკეთდება დრონებით შეტევაზე. რუსები დაიწყებენ უკრაინის ტოტალურ დაბომბვას, უკრაინელებიც უპასუხებენ.

დასავლეთს რუსეთის მიმართ გამოკვეთილი ხაზი ჯერ არ აქვს. თუ აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ოსტინი და სახელმწიფო მდივანი ბლინკენი აცხადებენ, რომ რუსეთი უნდა დამარცხდეს, ბაიდენის ადმინისტრაციის სხვა ჩინოვნიკები ამას არ ეთანხმებიან.

ერთნი შიშობენ, რომ რუსეთის კუთხეში მიმწყვდევა ბირთვული ომის საფრთხეს გაზრდის. მეორენი აცხადებენ, რომ უკრაინაში მარცხი რუსეთის დაშლას გამოიწვევს და შედეგად, ევრაზიაში ქაოსი დაიწყება.

სამაგეროდ, პუტინს გააჩნია გამოკვეთილი ხაზი. მას სურს გამოფიტოს უკრაინა და დასავლეთი, აიძულოს ისინი კრემლის ე.წ. სამშვიდობო პირობები (ანუ კაპიტულაცია) მიიღონ.

რა ვუყოთ რუსეთს? როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომის მიმართ? დასავლეთში ამ საკითხებზე ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს. პუტინი კი თავის საქმეს განაგძობს. ომიც გრძელდება.

ბლინკენი: პუტინის დაუსჯელობა სახიფათო ხდება!



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ დიქტატორი პუტინი დღეს ისეთსავე როლს თამაშობს, როგორსაც თავის დროზე ჰიტლერი თამაშობდა. პუტინმა რუსეთში დიქტატურა დაამყარა, შემდეგ კი აგრესიული ომი გააჩაღა.

– პუტინის დაუსჯელობამ, შესაძლოა, მთელ მსოფლიოში ახალი ინტერვენციები გამოიწვიოს. ეს კაცობრიობას ძალზე ძვირი დაუჯდება! – თქვა ბლინკენმა.

მოსკოვში ილია კივა მოკლეს

მოსკოვში ლიკვიდირებულია ყოფილი უკრაინელი დეპუტატი ილია კივა. ამის შესახებ იუწყება „რბკ-უკრაიანი“.

კივა ყოფილი მილიციონერია. ღირსების რევოლუციის დროს ის ეროვნულ ძალებს უჭერდა მხარს. შემდგომში მან რადიკალურად შეიცვალა პოზიცია და რუსების მხარეს დადგა. კივა უკრაინაში მოსკოვის ერთ-ერთი საყრდენის ვიქტორ მედვედჩუკის მარჯვენა ხელი გახდა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ კი იატაკქვეშეთში გადავიადა და კიევში გადატრიალებას ამზადებდა.

კიევთან რუსული არმიის მიახლოებისთანავე, მედვედჩუკის ხალხს გადატრიალება უნდა მოეწყო. შეიქმნებოდა ახალი მთავრობა. პრეზიდენტის პოსტს კვლავ იანუკოვიჩი დაიკავებდა, პრემიერი მედვედჩუკი იქნებოდა, კივა კი შინაგან საქმეთა მინისტრი.

შეთქმულების კრახის შემდეგ, კივა რუსეთში გაიქცა. ის ცხოვრობდა მოსკოვში. სისტემატურად გამოდიოდა რუსულ ტელეარხებზე, სადაც თავის სამშობლოს ლაფში სვრიდა. კივა მოუწოდებდა პუტინს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომი დაეწყო.

„რბკ-უკრაინის“ ცნობით, კივა უკრაინის უშიშროების სამსახურის მიერ იქნა ლიკვიდირებული.

პუტინი საუდის არაბეთში გაემგზავრა

რუსეთის დიქტატორი პუტინი საუდის არაბეთში გაემგზავრა. ამის შესახებ იუწყება „რია ნოვოსტი“.

როგორც ცნობილია, პუტინი ჰააგის სასამართლომ დამნაშავედ გამოაცხადა. პუტინს საუდის არაბეთში რამდენიმე გამანადგურებელი მიაცილებდა.

რუსეთ-უკრაინის ფრონტი: რა მოხდება ზამთარში?!

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ოკუპანტები მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ. მიუხედავად ამისა, წარმატებას ვერცერთი მიმართულებთ მიაღწიეს. ეს თანაბრად შეეხება როგორც ხერსონსჩინას, ისე ავდეევკას, მარინკას, კუპიანსკს, ბახმუტს, ასევე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქებსაც. შედეგად ოკუპანტებმა რიგი პოზიციებიდან უკან დაიხიეს.

ოკუპანტების რიგებში სერიოზული დანაკარგებია. ციფრობრივად ეს შემდეგნაირად გამოიყურება: ტანკები – 5.600; არტილერია – 8.024; თვითმფრინავები – 324. განადგურებულია 336. 110 ოკუპანტი. ამრიგად, ოკუპანტებმა დიდი დანაკარგები განიცადეს. ამას ფრონტებზე წარუმატებლობაც დაემატა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქილერმა დანაშაულის ინსცენირება მოაწყო და სამართალდამცავებს თავისი უფროსი დააჭერინა

აშშ-ში მამაკაცმა თავისი უფროსისგან მისი მტრის ლიკვიდაციის დავალება მიიღო და გადაწყვიტა, ხელისუფლებას მის დაჭერაში დახმარებოდა.

პირადმა მცველმა მაიკლ შერვუდმა გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) თანამშრომლებს გაუმხილა, რომ თავისი უფროსის, 51 წლის ფერეიდუმ ჰალილანის, მეტსახელად ფრედისგან, რეჟისორ ხუან ესკოს ლიკვიდაციის დავალება მიიღო, 20 ათასი დოლარის სანაცვლოდ. ის ესკოს დაუკავშირდა და მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე გააფრთხილა. მათ გადაწყვიტეს, მკვლელობის ინსცენირება მოეწყოთ და ენახათ, თუ რა რეაქცია ექნებოდა ამაზე ფრედის.

არშემდგარმა ქილერმა მუცელზე მწოლიარე, უკან ხელებშეკრულსა და სისხლის გუბეში მცურავ ესკოს სურათი გადაუღო. შემდეგ მათ ფოტოსურათი შემკვეთს გაუგზავნეს, რომელმაც თავის პირად მცველს დაუყოვნებლივ გადაურიცხა სამი ათასი დოლარი.

ჰალილანის მტრული დამოკიდებულება რეჟისორის მიმართ იმით იყო განპირობებული, რომ ესკო მასზე დოკუმენტური ფილმის გადაღებას აპირებდა, რომელშიც ის თაღლითად და კრიმინალური იმპერიის მმართველად იქნებოდა წარმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ჰალილანი ესკოს 2009 წლიდან იცნობდა. მაშინ მან რეჟისორი საკუთარი ტელემარკეტინგული კომპანიისთვის დაიქირავა. მასთან მუშაობის შემდეგ რეჟისორი დარწმუნდა მის თაღლითობაში, რომელიც მოტყუებით სძალავდა ფულს ხალხს. ფილმის გადაღების იდეა კი მას ჰალილანთან 2019 წელს შემთხვევით შეხვედრის შემდეგ დაებადა.

ჰალილანი გფბ-ს აგენტებმა დააპატიმრეს. ამ დროისთვის ის ციხეში იმყოფება, ხოლო მისი საქმის სასამართლო განხილვა 2024 წლის თებერვალში დაიწყება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისს 150 წლის გუნდრ ეწვია

შავი ლომი ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის მიერ ორგანიზებულ ჩელენჯ ქაფზე ისტორიაში პირველად ითამაშებს. პირველ ქართულ ფრენჩაიზს ჯგუფში მეტოქეებად ინგლისური გლოსტერი, უელსური სკარლეტსი და ფრანგული გუნდები – კასტრი და კლერმონი ეყოლება.

შავი ლომი ორ მატჩს თბილისში ითამაშებს, ორსაც სტუმრად. პირველი თბილისში გლოსტერი ჩამოვა და 9 დეკემბერს მიხეილ მესხზე გვეთამაშება, რომელიც უკვე თბილისშია.

გლოსტერი 150 წლის ისტორიის მქონე კლუბია და 1873 წელს ამავე სახელწოდების ქალაქში დაარსდა. 1891 წელს 4.000 გირვანქა სტერლინგად კინგსჰოლმში მიწის ნაკვეთი შეიძინა, სადაც საშინაო შეხვედრებს დღემდე მართავს. სტადიონი 16.000 მაყურებელს იტევს, ხოლო 2015 წელს მსოფლიო თასის ოთხ შეხვედრას უმასპინძლა. მათ შორის ორს ბორჯღალოსნების მონაწილეობით – ტონგასთან და არგენტინასთან. საქართველომ იმავე წელს „კინგსჰოლმ სთედიუმზე“ გამართა გასახურებელი თამაში იაპონიასთან.

გლოსტერი პროფესიულ რელსებზე 1997 წლიდან გადავიდა. არსებობის ისტორიაში ხუთჯერ (1972, 1978, 1982, 2003, 2011) მოიგო ანგლო-უელსის თასი, ინგლისის პრემიერშიფში კი, ოთხჯერ (1989, 1990, 2003, 2007) მეორე ადგილი დაიკავა. პირველივე წლიდან თამაშობს ევროპის საკლუბო ტურნირებში (ჩემპიონთა და ჩელენჯ თასი) და ორჯერ გახდა ჩელენჯ თასის მფლობელი (2006 და 2015), ორჯერ კი ფინალში დამარცხდა (2017 და 2018).

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯორჯ სკივინგტონმა თბილისში 27 მორაგბე ჩამოიყვანა. მან გუნდის ვარსკვლავების უმრავლესობას დასვენების შესაძლებლობა მისცა.

საქართველოში არ მოდიან არგენტინელები – მატიას ალემანო და სანტიაგო კარერასი, სამხრეთაფრიკელი რუან აკერმანი, ფიჯელი ალბერტ ტუისუე, იტალიელი სტივენ ვარნი, შოტლანდიელი ადამ ჰასტინგსი, უელსელი ლუის რის-ზამიტი და ქართული ფესვების მქონე ვალ რაფავა-რუსკინი.

სამაგიეროდ, თბილისშია და, სავარაუდოდ, „მიხეილ მესხზე“ ვიხილავთ 33 წლის ჯონი მეის, რომელსაც ინგლისის კვართით 78 კეპი და 185 ქულა აქვს მოხვეჭილი.

ჯორჯ სკივინგტონი:

– ჩვენთვის მორაგბეების ჯანმრთელობა უპირველესია. ვზრუნავთ მათ ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. რამდენიმე მორაგბეს სეზონში უკვე ბევრი წუთი მოუგროვდა და გადავწყვიტეთ, ძალების აღდგენის საშუალება მივცეთ. ნამდვილად გვყავს მორაგბეები, რომლებიც მათ შესაცვლელად მზად არიან და ეცდებიან, შანსი გამოიყენონ.

შავი ლომისა და გლოსტერის მატჩი 9 დეკემბერს, მიხეილ მესხზე, 17:00 საათზე დაიწყება.

დინამომ ჯგუფში ყველა მატჩი წააგო

წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგაში თბილისის დინამომ ჯგუფურ ეტაპზე მეექვსე მატჩი გამართა და მეექვსე მარცხი განიცადა. დეიან სტანოიევიჩის გუნდმა ამჯერად ხორვატულ დუბროვნიკთან სტუმრად წააგო – 13:19.

მატჩის ორი მეოთხედი თანაბრად დამთავრდა, ორიც კი, დინამომ ჩააგდო. პირველი მეოთხედი უხვგოლიანი გამოდგა და 5:5 დასრულდა. ამის შემდეგ ხორვატებმა უპირატესობა ხელთ იგდეს და ბოლო მეოთხედის წინ უკვე 6 ბურთის სხვაობთ იგებდნენ. აქ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და დასკვნითი ნაწილი ისევ თანაბრად გაილია.

ჯგუფი იტალიურმა პრო რეკომ 18 ქულით მოიგო; მეორეზე ოლიმპიაკოსი გავიდა – 11 ქულა; დუბრონიკი 7 ქულით მესამე იყო; საქართველო კი უქულოდ დარჩა.

ფლეი აუტი ფავორიტების უპირატესობით დაიწყო

გაიმართა საქართველოს ეროვნული ლიგის ფლეი აუტის მატჩები და ერთი წყვილის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

სამტრედია შინ დაუხვდა საგარეჯოს გარეჯს და 4:1 მოუგო. გამარჯვებულის ვინაობა პირველ ტაიმშივე ცნობილი იყო – იმერლებმა მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს და საპასუხო მატჩისთვის ნაკლები სანერვიულო ექნებათ.

გოლები კი, ალექსანდრ მიშოვმა, სტრაჰინია პავიშიჩმა, ილია ახვლედიანმა და ზვიად ნაჭყებიამ შეაგდეს. შესვენების შემდეგ გარეჯმა თამაშს კი მოუმატა, მაგრამ მხოლოდ გიორგი ხარებაშვილის პენალტს გამორჩა და საშინაო მატჩში სასწაულის იმედზეა...

ეროვნულ ლიგა 2-ში მესამე ადგილზე გასულმა სპაერმა კი თელავს უმასპინძლა და საბა გეგიაძის გოლით უგებდა კიდეც, მაგრამ შესვენების შემდეგ ირაკლი რუხაძემ ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

საპასუხო მატჩის წინ კახურ გუნდს თითქოს აქვს უპირატესობა, მაგრამ ერთ კონკრეტულ მატჩს ვინ როგორ ითამაშებს, არავინ იცის...

საპასუხო მატჩები კი, 10 დეკემბერს, საგარეჯოში და თელავში გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ალექსანდრე იაშვილი: მარტში უმნიშვნელოვანესი მატჩები გვაქვს, ევროპაზე მოხვედრა უდიდესი ოცნებაა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე იაშვილი საფეხბურთო კარიერის დროს გერმანული კარლსრუეს შემადგენლობაში 2007-12 წლებში თამაშობდა. არამარტო თამაშობდა – გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც იყო და იქაური გულშემატკივრები აფასებდნენ.

ამჟამად კარლსრუეში საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ბუდუ ზივზივაძე თამაშობს. სხვათა შორის, რეკომენდაცია სწორედ იაშვილმა გაუწია, რომელიც ყოფილი გუნდის საშინაო თამაშს დაესწრო. ეს ის მატჩია, ზივზივაძემ დუბლი რომ შეასრულა – ჰიურნბერგთან (4:1). იაშვილს იქაური გუნდის გულშემატკივარი მხურვალედ მიესალმა.

კლუბის ვებგვერდზე კი, იაშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

ალექსანდრე იაშვილი:

– გულშემატკივრის ასეთმა დახვედრამ ძალიან გამახარა. არაერთხელ მითქვამს – კარლსრუე ჩემი მეორე სახლია. ჩემს ოჯახთან ერთად აქ თავს ყოველთვის ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი.

როცა მაქვს დრო, ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვდივარ. მიყვარს ეს ქალაქი და ამ კლუბის გულშემატკივარი, რომელიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

ახალ არენა სუპერსტადიონია! წარმოუდგენელი რამაა. ამას დაემატა, რომ ზივზივაძემ დუბლი შეასრულა. ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ! ბედნიერი ვარ იმის გამოც, რომ ასეთ გარემოში ყოფნა მომიხდა...

ბუდუ საქართველოს ნაკრებში საკუთარ საქმეს ყოველთვის იდეალურად აკეთებს. ეროვნულ გუნდში ბევრი მნიშვნელოვანი გოლი აქვს გატანილი. გასახარია, რომ დღესაც შეძლო 2 გოლის გატანა. თანაც, 81-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა ეს გოლები გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი იყო...

მარტში საქართველოს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი თამაშები ელის. ამისთვის მზადება კარგად მიმდინარეობს. გველოდება ერთა ლიგის ფლეი ოფის მატჩები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელის ვინაობას გაარკვევს.

ძალიან გვინდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების არსებობის ისტორიაში, პირველად მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე. ეს საქართველოსთვის უდიდესი ოცნებაა. 21 მარტს გვაქვს ლუქსემბურგთან ნახევარფინალი. იმედია, გავიმარჯვებთ, შევძლებთ. ასეთ შემთხვევაში, ფინალსაც შინ ვითამაშებთ.

ლუკა ბანკი: ოლიმპიადის შესარჩევისთვის მზადება პირველივე დღიდანვე დავიწყეთ

საქართველოს კალათბურთის ნაკრებს მომავალ წელს ორი მნიშვნელოვანი ტურნირი ელის. თებერვალში ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს გამართავს, რომელიც პერიოდულად მთელი წელი გაგრძელდება. პლუს, 2-7 ივლისს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირს ითამაშებს.

ამ ორი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ ჩვენი გუნდი უმწვრთნელოდ არის. სანამ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწვრთნელს დაეძებს, მანამდე ჩვენმა მეტოქეებმა გარკვეული მზადება უკვე დაიწყეს.

საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი ლატვიასთან აქვს, რომლის მთავარი მწვრთნელი ლუკა ბანკია, რომელიც პარალელურად იტალიურ ვირტუს ბოლონიას ავარჯიშებს, რომლის ლიდერიც საქართველოს ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელიაა.

ლუკა ბანკი:

– ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადებას იმ დღიდან შევუდექით, როდესაც შევიტყეთ, რომ ერთ-ერთი მასპინძელი ლატვია იქნებოდა. შესაბამისი მუშაობა უკვე დაწყებულია. ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპამდე ევრო 2025-ის კვალიფიკაციაც გველის, რომლის ერთ-ერთი მასპინძელიც ვართ და ფინალურ ეტაპზე გასულები ვართ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, შესარჩევი მატჩები მოსამზადებლად გამოვიყენოთ. თავად კალათბურთელებთან მუშაობას ტურნირამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე დავიწყებთ, უშუალოდ შეკრება კი 18 ივნისს დაიწყება და მომდევნო 2 კვირა გადამწყვეტი იქნება.

ჩვენი ჯგუფი საკმაოდ რთულია. მეტოქეებად განსხვავებული სტილის ნაკრებები გვერგო, წინ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ და კონცენტრაცია ყოველ მომდევნო მატჩზე მოვახდინოთ. ოცნების რეალობად ქცევისთვის ყველა მათგანი მაქსიმუმს გაიღებს.

პირველი მატჩი საქართველოსთან? ახლა, პროგნოზის გაკეთება ნამდვილად გამიჭირდება, თუ როგორ წარიმართება ის თამაში. ახლა შეუძლებელია იმის თქმა, ჩვენ ან ქართველები იმ თამაშს როგორ კონდიციებში შევხვდებით. მანამდე, კალათბურთელებს ხანგრძლივი საკლუბო სეზონი აქვთ, სანაკრებო თამაშებისთვის მოსამზადებლად კი, ხანმოკლე პერიოდი გვექნება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ კალათბურთელები ჯანმრთელად იყვნენ და მკაცრად მიჰყვნენ გეგმებს, რომლებიც კონკრეტული მატჩებისთვის გვექნება. ლატვიის ნაკრები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მე-6 მოთამაშის ფაქტორი – ჩვენ ხომ გამოსვლა შინაურ კედლებში გვიწევს. საუკეთესო ვარიანტში 6 დღეში 4 მატჩი უნდა ვითამაშოთ და ამისთვის, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად მზად უნდა ვიყოთ.

შეგახსენებთ, 2024 წლის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე რიგის ჯგუფში, საქართველოსა და ლატვიის გარდა, ფილიპინებიც მოხვდა. პარალელური ჯგუფი კი, ბრაზილიამ, კამერუნმა და მონტენეგრომ შეადგინეს. ჯგუფების 1-2 ადგილსნები ჯვარედინი პრინციპით ნახევარფინალებში დაწყვილდებიან, ჩემპიონი კი, 2024 წლის ოლიმპიადის საგზურს მიიღებს.

პარიზის ოლიმპიადაზე საკალათბურთო ტურნირი 27 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

6 დეკემბერი
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ვილიარეალი-მაქაბი 0:0

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘᲒᲐ

ბრაიტონი-ბრენტფორდი 2:1
კრ.პალასი-ბორნმუთი 0:2
ფულემი-ნოტინგემი 5:0
შეფილდი-ლივერპული 0:2
ასტონ ვილა-სიტი 1:0
მანჩესტერი-ჩელსი 2:1

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲩᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.არსენალი	15	11	3	1	33-14	36
2.ლივერპული	15	10	4	1	34-14	34
3.ასტონ ვილა	15	10	2	3	34-20	32
4.სიტი	15	9	3	3	36-17	30
5.ტოტენჰემი	14	8	3	3	28-20	27
6.მანჩესტერი	15	9	0	6	18-18	27
7.ნიუკასლი	14	8	2	4	32-14	26
8.ბრაიტონი	15	7	4	4	32-27	25
9.ვესტ ჰემი	14	6	3	5	24-24	21
10.ჩელსი	15	5	4	6	26-24	19
11.ბრენტფორდი	15	5	4	6	23-21	19
12.ფულემი	15	5	3	7	21-26	18
13.ვულვზი	15	5	3	7	20-25	18
14.კრ.პალასი	15	4	4	7	14-21	16
15.ბორნმუთი	15	4	4	7	18-30	16
16.ნოტინგემი	15	3	4	8	16-27	13
17.ლუთონი	15	2	3	10	16-30	9
18.ევერტონი	14	5	2	7	15-20	7
19.ბარნლი	15	2	1	12	15-33	7
20.შეფილდი	15	1	2	12	11-41	5

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲚᲘᲒᲐ 1

მარსელი-ლიონი 3:0

ᲡᲐᲢᲣᲩᲜᲘᲩᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.პსჟ	14	10	3	1	36-11	33
2.ნიცა	14	8	5	1	14-5	29
3.მონაკო	14	8	3	3	29-19	27
4.ლილი	14	7	5	2	19-11	26
5.რეიმსი	14	7	2	5	20-19	23
6.ლანსი	14	6	4	4	19-15	22
7.ბრესტი	13	6	3	4	17-14	21
8.მარსელი	14	5	5	4	18-14	20
9.ნანტი	14	5	3	6	18-23	18
10.ლეავრი	14	3	7	4	12-15	16
11.მეცი	14	4	4	6	15-22	16
12.რენი	14	3	6	5	19-19	15
13.მონპელიე	14	3	5	6	17-20	13
14.ტულუზა	14	2	7	5	14-18	13
15.სტრასბური	13	3	4	6	11-18	13
16.ლორიანი	14	2	6	6	18-25	12
17.კლერმონი	14	2	4	8	9-21	10
18.ლიონი	14	1	4	9	11-27	7

ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲚᲘᲒᲐ 2

ანსი-კაენი 1:2

ᲜᲘᲫᲔᲩᲘᲐᲜᲫᲔᲑᲘ. ᲔᲩᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ვალვაიკი-აიაქსი 2:3

ᲨᲝᲢᲪᲘᲐᲜᲫᲘᲐ. ᲩᲔᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘᲒᲐ

აბერდინი-კილმანროკი 0:1
სელტიკი-ჰიბერნიანი 4:1
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი 1:0
ჰართსი-რეინჯერსი 0:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საბურთალო თასისა და კონფერენციის ლიგის საგზურის მფლობელია

საბურთალო-დინამო (ბთ) 1:0
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ
1:0 ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ (90)

საბურთალო: კუპატაძე, ც.კაპანაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, ჯინჯოლავა, შ.ნონიკაშვილი (სიხარულიძე 90), ო.მამაგეიშვილი, კოხრეიძე (სილაგაძე 62), გ.მამაგეიშვილი, ტაბატაძე (ლ.ნონიკაშვილი 77), სილა (კომახიძე 90)

დინამო: კვასხვაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, ბალიჩი, ხარაბაძე, მოსიაშვილი (ტეიდი 46), ზარია (ვაწაძე 90), ბიძინაშვილი (ც.ფაცაცია 88), ღუდუშაური, წიტაიშვილი, ფლამარიონი

გაძევება: ღუდუშაური (90)

საბურთალო საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელია. გიორგი მიქაძის გაწვრთნილმა გუნდმა ფინალში რამდენიმე დღის წინ დაჯილდოებული საქართველოს ჩემპიონი ბათუმის დინამო 1:0 დაამარცხდა.

მატჩი ხისტი გამოდგა, რასაც ხშირად კინკლაობა მოჰყვებოდა. მომენტებიც მეტ-ნაკლებად შეიქმნა. უფრო ხშირად – საბურთალოს ჰქონდა.

საბოლოოდ, ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა. გამარჯვების გოლი კი, მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მეორე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ სიხარულიძე რამდენიმე წამის შესული იყო მოედანზე და ბურთზე ფეხი არ ჰქონდა დაკარებული, თავით ისე გაიტანა.

მატჩის ბოლოს ზღვისპირელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მომენტიც ჰქონდათ, პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ არ დაინიშნა. სავარაუდოდ, ვარ-ზეც გადამწმდა, მაგრამ მსაჯის ჩარევა არ ისურვეს. არადა, საეჭვო ჩანდა და მატჩიც დამთავრდა... საბურთალომ საქართველოს თასის ფინალში მესამედ ითამაშა და მესამედ მოიგო. გარდა ამისა, უეფას კონფერენციის ლიგის საგზურიც ერგო.

და ჩხუბიც დაიწყო... ფეხბურთელებმა გასასვლელში ერთმანეთისკენ გაიწიეს და მათ დაშოშმინებას გარკვეული დრო დასჭირდა. ამასობაში გულშემატკივარმაც დრო იხელთა და მოედანზე გადავიდა. სიტუაცია უკონტროლო შეიქმნა, მაგრამ მალევე ჩაცხრა.

მატჩისა და ჩხუბის დასრულების შემდეგ, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ფინალის მონაწილე გუნდები და მსაჯები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა დააჯილდოვა.

გიორგი მიქაძე:

– ჩემთვის განსაკუთრებული მომენტია და ძალიან მიხარია. სიმბოლურია, რომ კარიერაში პირველი ტიტული საბურთალოსთან ერთად მოვიპოვე. ეს არის კლუბი, სადაც სამწვრთნელო კარიერა დავიწყე. მადლობა ხელმძღვანელებს, მათ შანსი მომცეს და, როგორც შევძელი, დავუფასე.

ასევე მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩვენი წარმატება გაუხარდა. ვულოცავ საბურთალოს ფეხბურთელებს და კლუბს, რადგან ფინალში ძალიან ღირსეულად ვითამაშეთ. ბევრი მომენტი შევქმენით და მიმაჩნია, რომ დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

საბურთალოს გულშემატკივრებს ვეტყვი, რომ შემდეგი წლიდან უფრო სტაბილური და უკეთესი გუნდი გვყოლება. გაძლიერებაზე ვფიქრობთ და შევეცდებით, შემადგენლობა კარგად დავაბალანსოთ. მიზანი ისაა, რომ ევროთასებისთვის მზად ვიყოთ და ჩვენი ქვეყანა ვასახელოთ.

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის, აკადემიკოს მერაბ ალექსიძისა და ელიზბარ მინდელის სახელობის პრემიების ლაურეატი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი

პაპუნა მინდელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბატონი პაპუნას სახით ქართველ გეოფიზიკოსთა საზოგადოებამ დაკარგა ჭეშმარიტი პროფესიონალი, მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით შემკული პიროვნება, საუკეთესო მეგობარი, შესანიშნავი მეოჯახე, თბილი და მოსიყვარულე მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა.

პაპუნა მინდელის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲘᲮᲡᲕᲝᲰᲘᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 2. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული ტკბილეული; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. არწივის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 14. მზის სისტემის პლანეტა; 15. კომპანია „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ღვინის თიხის სასმისი.

თარაზულად: 5. მგალობელი ჩიტი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორი გერმანელი ძმების გვარი; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. სტაფილოს ნაყოფში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 11. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 13. ხეივნიანი ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 18. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 21. აეროპორტი ლონდონში; 22. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 23. ველური ვაზი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. წახნაგი; 2. ხარები; 3. შტურმანი; 4. რაფინადი; 7. დარდანელი; 8. ჟოეკვარა; 12. ოდოგრაფი; 14. დიაგრამა; 16. რუსთავი; 17. მორჩილი; 19. იავა; 20. აურა.

თარაზულად: 5. კავკასია; 6. კატალონია; 9. ხანუმა; 10. ბეშუმი; 11. მედეა; 13. ოდერი; 15. ბითაძე; 18. გურია; 21. ბატრიანი; 22. აბსურდი; 23. რაშკული.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ნაძვი; 3. სტიუარდი; 4. დასინი; 7. პირსი; 9. ბრიჯი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. ფრაქცია; 17. კუმურდო; 20. ჰერში.

თარაზულად: 5. გაბრიაძე; 6. ლუტეცია; 8. ბავარია; 10 ვესტერნი; 11. ამქარი; 13. ენისელი; 16. ნიკოლაძე; 18. სუომ; 19. მადლი; 21. უემბლი; 22. კინტრიში; 23. ტანდემი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

8 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6790

ევრო — 2.8850

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3702

100 რუსული რუბლი — 2.8884

ამინდის პროგნოზი 8 დეკემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარდიოლა: „მანჩესტერ სიტი უნდა გამოფხიზლდეს“



მანჩესტერ სიტიმ სტუმრად ასტონ ვილასთან წააგო 0:1 და ბოლო შეხვედრებში გვარდიოლას გუნდი საკმაოდ ხშირად კარგავს ქულებს და ამის გამო ისინი უკვე ლიდერები აღარ არიან. ესპანელმა სპეციალისტმა თქვა, რომ მისი გუნდი უნდა გამოფხიზლდეს და წინ კიდევ ბევრი თამაშია:

– სამწუხაროდ, კარგ ფორმაში არ ვართ და მეტოქეები ამით სარგებლობენ, თუმცა, წინ უამრავი მატჩია და ყველაფრის გამოსწორების შანსი გვექნება. სიტი უნდა გამოფხიზლდეს და ჩვენ მოგებები უნდა დავიწყოთ.

მოჰამედ სალაჰი: „ლივერპულს ინგლისის ჩემპიონატის მოგება შეუძლია“

ლივერპულმა სტუმრად შეფილდი დაამარცხა 2:0 და იურგენ კლოპის გუნდი ამჟამად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს იკავებს.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მოჰამედ სალაჰი დარწმუნებულია, რომ ლივერპულს ინგლისის ჩემპიონობა შეუძლია:

– ლივერპულს აშკარად აქვს პროგრესი. გუნდმა ზედიზედ რამდენიმე შეხვედრა მოიგო და ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონატში გამარჯვება. ლივერპულის ფანებს შარშანდელი სეზონის გამო ბოდიში უნდა მოვუხადოთ და წელს შეცდომები არ გავიმეოროთ.

ვალტერ მაცარი: „იუვენტუსთან მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია“

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაცარიმ იუვენტუსთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია.

შეხვედრა 8 დეკემბერს გაიმართება:

– ნაპოლის რთული პერიოდი აქვს და ჩვენთვის აუცილებელია, რომ იუვენტუსთან კარგი შედეგი ვაჩვენოთ. ყველა ფეხბურთელმა ეს იცის და ისინი განსაკუთრებით ემზადებიან. უკვე ბევრი ქულა დავკარგეთ და შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

არველაძეების ფონდმა საქართველოს ბიბლიოთეკები განაახლა

არველაძეების ფონდმა წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი განაახლა.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს 64 ცენტრალურ ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად 900-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა, რომელთა განაღდება ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში განთავსებულ 30-მდე გამომცემლობისა და გამავრცელებლის სტენდთან შეძლეს.

პროექტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო წელს შეუერთდა და წიგნების გავრცელებასთან ერთად, პროექტი ბიბლიოთეკების წარმომადგენლების გადამზადებასა და სპეციალურ ტრენინგსაც ითვალისწინებს.

– საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკები ახალ წელს განახლებული წიგნებითა და ახალი გამოცემებით შეხვდებიან. გვიხარია, რომ უკვე მეორე წელია, ჩვენი ფონდი ამ პროექტის მონაწილეა. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, წელს ფონდთან ერთად, პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომაც მიიღო.

ვფიქრობთ, ასეთი პარტნიორობის და სწორად დასახული მიზნის პირობებში, რეგიონებში არაფორმალურ განათლებასა და ახალ ლიტერატურაზე წვდომა წლიდან წლამდე შესამჩნევად გაიზრდება.

მადლობას ვუხდით ყველა ჩართულ მხარეს, რეგიონალურ ბიბლიოთეკებს, ეროვნულ ბიბლიოთეკას, წიგნის გამავრცელებელთა და გამომცემელთა ასოციაციას, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ყველა მონაწილეს, ამ პროექტის მხარდაჭერისთვის.

გვჯერა, რომ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან პარტნიორობა რეგიონებში არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად გაზრდის, – ნათქვამია არველაძეების ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს განყოფილებამ არამიწიერი წარმომავლობის ობიექტებს მიაგნო

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ერთ-ერთი განყოფილება 20 წლის განმავლობაში უცხოპლანეტელთა ხომალდების ნამსხვრევების შეგროვებით იყო დაკავებული. აღნიშნულ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ანონიმური წყარო ამტკიცებს, რომ 2003 წლიდან მოყოლებული ცენტრალურ როლს ამ სფეროში ცსს-ს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დირექტორატთან დაკავშირებული ე.წ. გლობალური წვდომის ოფისი თამაშობდა.

გამოცემის წყაროს მტკიცებით, ორგანიზაციამ მინიმუმ ცხრა არამიწიური წარმომავლობის ობიექტის პოვნა მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოფო ნიჟარაძის სახელზე ყალბი გათამაშებები ტარდება

მომღერალ სოფო ნიჟარაძის სახელს სოციალურ ქსელში ბოროტად იყენებენ და ყალბ გათამაშებებს ატარებენ. სოფო ათასობით გულშემატკივარს საჯაროდ აფრთხილებს:

– ბევრჯერ გაგაფრთხილეთ, არ ენდოთ ფეიქ გვერდებს გათამაშებასთან დაკავშირებით, ჩემი გვერდი არაფერს ათამაშებს, კიდევ ერთხელ გეუბნებით, არასდროს არ ყოფილა გათამაშება, ეს იყო ტყუილი, რამდენი ვბლოკავთ გვერდს, ახალი იხსნება, რასაც მე ყოველ ჯერზე ვერ გავაკონტროლებ!

არასდროს არ გამითამაშებია ფული! არასდროს! არ მისცეთ არავის პირადი მონაცემები, ნუ ტყუვდებით, კიდევ ერთხელ გთხოვთ! ძალიან გთხოვთ, ეგრევე დაარეპორტეთ, თუ მსგავს ფეიქ გათამაშებას შეხვდებით!

მოცეკვავე სესილი ახობაძე მსოფლიო ჩემპიონია

იტალიის ქალაქ ნეაპოლში სამეჯლისო ცეკვების მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი მოცეკვავე სესილი ახობაძე საუკეთესოდ დასახელდა. მან ჩემპიონის ტიტული, პირველი ადგილი და 3 მედალი დაიმსახურა.

სესილი თეა გობეჯიშვილის ცეკვის აკადემიის მოცეკვავეა.

თეა გობეჯიშვილი, ქოერეოგრაფი:

– ჩვენი აკადემია თითქმის ყველა კონკურსში იღებდა მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით და ასევე მეზობელ ქვეყნებში, სადაც მათი ასპარეზობა იყო შრომის შესაბამისი. გვასახელეს და უამრავი ჯილდოც მოიპოვეს. არ ტოვებდა აკადემია კატეგორიას, სადაც ჩვენ საპრიზო ადგილი არ გვქონია! ამ შრომის შედეგად კი გავედით უფრო შორს, საზღვრებს გარეთ.

ამჟამად ჩვენი აკადემია ასპარეზობს მსოფლიო ჩემპიონატზე! წარმატებები ჩვენს დაუღალავსა და უზომოდ შრომისმოყვარე პედაგოგს ვერკა ჯაჯანიძეს.

ფოთის თეატრმა 5 ჯილდო მოიპოვა

ლეგენდარული მსახიობის უშანგი ჩხეიძის 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კლასიკური დრამატურგიის თეატრალური ფესტივალი „უშანგი“ დაარსდა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ზესტაფონის, გორის, რუსთავის, თბილისისა და ფოთის თეატრებმა.

ფესტივალის ჟიურიმ ლაშა ჩხარტიშვილის, ლელა ოჩიაურის, გიორგი ყაჯრიშვილის, ვალერი ოთხოზორიასა და მანანა თევზაძის შემადგენლობით სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დაასახელა.

ნომინაციაში საუკეთესო სცენოგრაფია დაჯილდოვდა ერისთავის თეატრის სპექტაკლის „ოტელო“ მხატვარი დავით აბრამიშვილი, ფოთის თეატრმა ამ ფესტივალზე ერთი სპექტაკლით 5 ჯილდო დაიმსახურა: საუკეთესო სახასიათო როლი – თორნიკე კაკულია, საუკეთესო დრამატული ქალის როლი – ანიკო შურღაია, საუკეთესო ქორეოგრაფია – კოტე ფურცელაძე, საუკეთესო მუსიკა – კოტე ეჯიბაშვილი და საუკეთესო რეჟისურა – საბა ასლამაზიშვილი.

ქალის საუკეთესო ეპიზოდური როლისთვის ერისთავის თეატრის მსახიობი – მარიამ არღუთაშვილი დაჯილდოვდა. კაცის საუკეთესო ეპიზოდური როლისთვის – რუსთავის თეატრის მსახიობი ანდრია ვაჭრიძე. მამაკაცის საუკეთესო დრამატული როლისთვის – ზესტაფონის თეატრის მსახიობი კონსტანტინე ფოცხვერაშვილი, თოჯინების საუკეთესო ავტორი ვახტანგ ქორიძე გახდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლისთვის „ოტელო“ შექმნილი თოჯინებისთვის.

მაყურებლის რჩეულ სპექტაკლად და გრანპრის მფლობელად ზესტაფონის თეატრში დადგმული „ჰამლეტი“ აღიარეს, რომლის რეჟისორიც ვატო ჯუღელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. ღვთაების, ხატის სადიდებელი საგუნდო სიმღერა საეკლესიო დღესასწაულის დროს; 3. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 4. გეოდეზიური კუთხმზომი ხელსაწყო; 7. ჰოლანდიური ლუდი; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. რომელიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 14. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 16. ირმის ტყავებით შეფუთული ჩუქჩების ქოხი; 17. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 19. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. მექსიკელი მოქანდაკე ქალი.

თარაზულად: 5. ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 6. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 9. საქარგავად გამოყენებული ფერადი ძაფი; 10. ნავთობის რაოდენობის საზომი ერთეული; 11. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ბარიტის საბადო რაჭაში; 15. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 21. ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 22. სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 23. ბეისბოლის მოთამაშის ერთ-ერთი ამპლუა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა